# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 3 ოქტომბერი 2002 №187 (1709) | ფასი 50 თეთრი




# მერე რა, რომ წვიმს

## 23 წლის წინ დინამომ ლივერპულს თავსხმაში მოუგო

## დღეს ლივერპული ლიბერეცია





„დინამო“ თუ „ლიბერეცი“, შუშკეი თუ შკორპილი? დღეს ნაწვიმარ „ეროვნულზე“ გამოჩნდება

# КАК, КАК? СПАР-ТАК! 0:5



ლივერპული — სპარტაკი 5:0. თანაგუნდელთა უსუსურობამ სტანისლავ ჩერჩესოვს სიბერე გაუმწარა

CHAMPIONS LEAGUE

ოთხი, ხუთი, ექვსი, რვა — გუშინ ჩემპიონთა ლიგაში ბლომად გოლები გავიდა.

დალონებულები დარჩნენ ბერძნები, აეკ-ი ორი ბურთით უგებდა „რეალს“ და ფრეს დასჯერდა. რუსები კი ჯერ კიდევ თამაშამდე დალონებულიყვნენ, რაკი „ლივერპულთან“ „სპარტაკის“ ყოჩაღობისა რუსეთშიც არავის სჯეროდა.

„ვალენსიამ“ დასეტყვა სიმპათიური „ბაზელი“, ხოლო „ოსერი“ ვერ გამოდგა „არსენალის“ უძლეველი სერიის შემჩერებელი .

„რომამ“ დიდი გაჭირვებით მოიგო ათკაცა „გენკთან“, რითაც ერთხელაც გამოაჩინა, რომ რალაც ჭირს.

ექტორ რაულ კუპერს ისლა დარჩენოდა, „ლიონთან“ შინ წაგებული თამაშის მერე ხელები გაესავსავებინა, აქაოდა, ამ ჩემს ვარსკვლავა „ინტერს“ რა დაემართა, თავადაც ვერ გამიგიაო.

გუშინდელი სალიგო ამბები ძირითადად ეს იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## I ჯგუფური ეტაპი. III ტური

### A ჯგუფი

**ოსერი 0:1 არსენალი**

0:1 ჟილბერტო სილვა (48)

ოსერი: ფაბიან კული, რადეტი, ბუმსონგი, მექსესი, ჟორესი, ფელაი, ლაშუერი (ა. გონსალესი 73), ტაინიო, ფადიგა, მვარუვარი, კაპო

მწვრთნელი: გი რუ

არსენალი: სიმენი, ლორენი, სიგანი, კემბელი, კოული, ტურე (ედუ 60), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი (ლუჟნი 84), ანრი (პენანტი 58), კანუ

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: ფრანკ დე ფლეკერი (ბელგია)

21 000 მაყურებელი

**პსვ ეინდჰოვენი 1:3 დორტმუნდი**

0:1 კოლერი (21), 0:2 როსიცკი (69), 1:2 ვან დერ შაფი (73), 1:3 ამოროზო (90)

პსვ ეინდჰოვენი: ვაუტერსი, ბოგელუნდი, ოოიერი, ფაბერი, ბუმა, რომედალი, ვან ბომელი, ფოგელი, ვან დერ შაფი, კეჟმანი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 76), ლეანდრო (რობენი 55)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

დორტმუნდი: ლემანი, მადუნი, ვორნსი, მეცელდერი, ჰაინრიხი, დედე, როიტერი (რიკენი 90), ფრინგსი, როსიცკი (კელი 79), კოლერი, ევერტონი (ამოროზო 65)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ოსერი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| პსვ ეინდჰოვენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | 1 |

### B ჯგუფი

**ლივერპული 5:0 სპარტაკი**

1:0 ჰესკი (7), 2:0 შეიროუ (14), 3:0 ჰიპია (28), 4:0 დიაო (81), 5:0 ჰესკი (88)

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანში (ტრაორე 68), ჰიპია, რიისე, მერფი, ჟერარდი (დიაო 75), ჰამანი, შეიროუ (დიუფი 82), ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

სპარტაკი: ჩერჩესოვი, კოვტუნი (ბარაბაძე 63), კებე, მიტრესკი, მოისეევი, პავლენკო, ხლესტოვი (ბეზროდნი 26), კუდრიაშოვი (ბარსელო 50), კალინიჩენკო, ბეშასტნიხი, დანიშევსკი

მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

40 812 მაყურებელი

**ვალენსია 6:2 ბაზელი**

1:0, 2:0 კარიუ (10, 13), 3:0 აურელიო (18), 4:0 ბარახა (28), 4:1 როსი (46), 5:1 აიმარი (58), 6:1 მისტა (60), 6:2 ჰ. იაკინი (90)

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, აიალა, პელეგრინო, აურელიო, ანგულო, ალბელდა, ბარახა (მისტა 46), ვისენტე (გარიდო 61), აიმარი (ხუან სანჩესი 70), კარიუ

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ბაზელი: ცუბერბიულერი, ჰაასი, კვენტინი (ჩერგინი 62), მ. იაკინი, ატუბა, ბარბერისი, კანტალუპი, ქამბოზიტო (დიუროზი 78), ჰ. იაკინი, ხიმენესი (კ. ვარელა 46), როსი

მწვრთნელი: კრისტიან გროსი

მსაჯი: კოსიმო ბოლონინი (იტალია)

20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| ლივერპული | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| ბაზელი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | 4 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:10 | 0 |

### C ჯგუფი

**აეკ 3:3 რეალი**

1:0 ცარტასი (6), 1:1 ზიდანი (15), 2:1 მალადენისი (24), 3:1 ნიკოლაიდისი (28), 3:2 ზიდანი (40), 3:3 გუტი (60)

აეკ: ხიოტისი, კოსტენოღლუ, რაიტი, კაპსისი, ზაგორაკისი (სენტენო 82), ცარტასი (იუზი 83), კასაპისი, კაცურანისი, ლაკისი, ნიკოლაიდისი, მ. პეტკოვი (მალადენისი 16)

მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი

რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, ელგერა, პავონი, მაკელელე, კამბიასო, გუტი (მაკმანამანი 85), ზიდანი (პორტილიო 83), ფიგუ, რაული (მორიენტესი 80)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

11 000 მაყურებელი

**გენკი 0:1 რომა**

0:1 კასანო (81)

გენკი: მონსი, ტომაშიჩი, ზოკორა, ვამბეორი, რუმანი (ინგრაო 85), სკოკო, ტიისი, დაერდენი (სეიდო 67), ბესლია (შოლენი 12), სონკი, დაგანო

მწვრთნელი: სეფ ვერგოოსენი

რომა: ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, კანდელა, ლიმა, ემერსონი, კაფუ (კასანო 46), ტომაზი (ტომიჩი 52), ტოტი, ბატისტუტა (მონტელა 68)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაძევება: მონსი (9)

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 12:3 | 7 |
| რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| აეკ | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| გენკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |

### D ჯგუფი

**ინტერი 1:2 ლიონი**

0:1 გოვუ (21), 0:2 ანდერსონი (60), 1:2 კანავარო (73)

ინტერი: ტოლდო, მატერაცი, კორდობა, კანავარო, ხ. ძანეტი, ალმეიდა, დი ბიაჯო (ს. კონსისაო 69), კოკო (პასკუალე 86), დალმა (მორფეო 60), რეკობა, კრესპო

მწვრთნელი: ჰექტორ რაულ კუპერი

ლიონი: კუპე, დერასი, მიულერი, კასაპა, ედმილსონი, ბრეშე, ვიოლო, მ. დიარა, კარიერი (ჟუნინიო 88), ს. ანდერსონი (ლავილი 77), გოვუ (ვერელი 90)

მწვრთნელი: პოლ ლე გუენი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

31 448 მაყურებელი

**როზენბორგი 0:0 აიაქსი**

როზენბორგი: არასონი, სვაინსენი, ბასმა, ჰოფტუნი, სტრანდი, ოლსენი, სკამელსრუდი, ბერგი, კარადასი, იონსენი (ენერლი 34), ბრატბაკი (ჯორჯი 39)

მწვრთნელი: ნილს-არნე ეგენი

აიაქსი: ლობონცი, ტრაბელსი, ბერგდოლმო, ჩოუ, ვიჩგე (მაქსველი 77), გალაშეკი, ვან დამი, ვან ჰალსტი (ვინტერი 68), ვამბერტო, იბრაჰიმოვიჩი (ვან დერ მეიდე 68), მიდო

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

მსაჯი: მიხალ ბენეში (ჩეხეთი)

20 948 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| როზენბორგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:7 | 2 |

UNDER-17 Championship

**მარცხით დაიწყეს** ქართველებმა 2003 წლის ევროპის ჩვიდმეტწლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ბელარუსში. სერგო კუტივაძის შეგირდებმა ვერაფერი გააწყვეს იუგოსლაველ თანატოლებთან და 0:2 წააგეს.

ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში მასპინძელი ბელარუსი და ხორვატიასთან 1:6 შერცხვა.

წინასწარი ვარაუდიც გამართლდა და ჯგუფიდან გასასვლელად, ალბათ, ხორვატები და იუგოსლაველები იბრძოლებენ. სამწუხაროდ, საქართველოს ჩვიდმეტწლამდელების თამაში უკეთესის იმედს ვერ გვაძლევს.

## ინგლისი

### ლიგის თასი. II ეტაპი

ასტონ ვილა 3:0 ლუტონი
ქოვენტრი 8:0 რაშდენი
დერბი ქაუნთი 1:2დ.დ. (ე) ოლდემი
ლეიტონი 2:3 ბირმინგემი
ნოტინგემი 1:2 უოლსოლი
შეფილდ უენსდეი 1:2დ.დ. (ე) ლესტერი
საუთჰემპტონი 6:1 ტრანმერი
უიგანი 3:1 ვესტ ბრომვიჩი
ბოლტონი 0:1 ბერი
კრისტალ პალასი 7:0 ჩელტენემი

## ჰოლანდია

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი

ნაიმეგენი 2:0 გრონინგენი



„ვალენსიას" ექვსი გოლიდან ერთი პაბლო აიმარისაც იყო



პსვ — დორტმუნდი. ტომაშ როსიცკი (№10) ეინდჰოვენიდან უგოლოდ არ წავიდა



სონი ანდერსონმა და სიდნეი გოვუმ „ინტერი" უქულოდ დატოვეს



„რომას" პირველი სალიგო გამარჯვების ანტონიო კასანომ გაიტანა



გენკი — რომა. უესლი სონკი და კრისტიან პანუჩი ფრენზე ვერ გაიყარნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## UEFA CUP დღეს უეფას თასი
### პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

დინამო (საქართველო) — ლიბერეცი (ჩეხეთი) (2:3)
სარტიდი (იუგოსლავია) — იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) (1:1)
შალკე (გერმანია) — გომელი (ბელარუსი) (4:1)
პოლონია (პოლონეთი) — პორტუ (პორტუგალია) (0:6)
ვერდერი (გერმანია) — მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) (2:2)
ლორიანი (საფრანგეთი) — დენიზლისპორი (თურქეთი) (0:2)
შიროკი ბრიაგი (ბოსნია) — სპარტა (ჩეხეთი) (0:3)
ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — დინამო (ხორვატია) (0:6)
ქოჯაელისპორი (თურქეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) (0:4)
ვარტექსი (ხორვატია) — მიდტიულანდი (დანია) (0:1)
ჰერენვენი (ჰოლანდია) — ნაციონალი (რუმინეთი) (0:3)
უიპეშტი (უნგრეთი) — პსჟ (საფრანგეთი) (0:3)
სარაევო (ბოსნია) — ბეშიქთაში (თურქეთი) (2:2)
მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა) — ლიდსი (ინგლისი) (0:1)
პაოკ (საბერძნეთი) — ლეიქსოეში (პორტუგალია) (1:2)
ვისლა (პოლონეთი) — პრიმორიე (სლოვენია) (2:0)
ზენიტი (რუსეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია) (1:3)
ცსკა (ბულგარეთი) — ბლეკბერნ როვერსი (ინგლისი) (1:1)
ფულემი (ინგლისი) — ჰაიდუკი (ხორვატია) (1:0)
ლივინგსტონი (შოტლანდია) — შტურმი (ავსტრია) (2:4)
გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) — ვიქკოვი (ჩეხეთი) (0:2)
ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — კერნტენი (ავსტრია) (4:0)
სტაბეკი (ნორვეგია) — ანდერლეხტი (ბელგია) (1:0)
პარტიზანი (იუგოსლავია) — სპორტინგი (პორტუგალია) (3:1)
სლავია (ჩეხეთი) — მუსკრონი (ბელგია) (2:2)
სუდუვა (ლიტვა) — სელტიკი (შოტლანდია) (1:8)
ბრონდბიუ (დანია) — ლევსკი (ბულგარეთი) (1:4)
ქსანთი (საბერძნეთი) — ლაციო (იტალია) (0:4)
კიევო (იტალია) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) (0:0)
გრაცერი (ავსტრია) — აპოელი (კვიპროსი) (0:2)
ალავესი (ესპანეთი) — ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) (2:1)
ანართოსისი (კვიპროსი) — ირაკლისი (საბერძნეთი) (2:4)
ოდენსე (დანია) — სელტა (ესპანეთი) (0:2)
პუხოვი (სლოვაკეთი) — ბორდო (საფრანგეთი) (0:6)
იურგორდენი (შვედეთი) — კოპენჰაგენი (დანია) (0:0)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — აიკ (შვედეთი) (3:3)
უტრეხტი (ჰოლანდია) — ლეგია (პოლონეთი) (1:4)
პარმა (იტალია) — ცსკა (რუსეთი) (1:1)
ვიკინგი (ნორვეგია) — ჩელსი (ინგლისი) (1:2)
ბოავიშტა (პორტუგალია) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) (0:1)
რაპიდი (რუმინეთი) — ვიტესი (ჰოლანდია) (1:1)
ვენტსპილსი (ლატვია) — შტუტგარტი (გერმანია) (1:4)
მალაგა (ესპანეთი) — ჟელეზნიჩარი (ბოსნია) (0:0)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ლიტექსი (ბულგარეთი) (1:0)
ბეტისი (ესპანეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა) (2:0)


პარმელი ემილიანო ბონაცოლის და არმიელი მეკარის რუსლან ნიგმატულინის დუელი ჯერ არ დამთავრებულა

# მუსკომედია კალიებთან შეხვედრამდე

„არ ვკამათობ, „ჩელსი" კლასით ბევრად გვჯობს, მაგრამ სტუმრად გატანილი გოლი შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს გვიტოვებს. სწორედ ამ მცირე შანსის გამოყენებას ვეცდებით და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენ ხომ 1:0-იც ხელს გვაძლევს" — აი, ასე მსჯელობს „ჩელსისთან" მატჩამდე ნორვეგიული „ვიკინგის" მწვრთნელი ბენი ლეონარდსონი.

ლონდონელებს ნამდვილად არ ელით იოლი გასეირნება, რადგან საშინაო გამარჯვებაც დიდი ჭიდილისა და ოფლის ღვრის შედეგად მოიპოვეს. ვიცით, რომ საომრად მივდივართო — ბრძანა მათმა თავკაცმა კლაუდიო რანიერიმ — ვფიქრობ, ერთბურთიანი უპირატესობა დამშვიდების საბაბს არ გვაძლევს, ამიტომ სრულად მობილიზებულნი შევხვდებით მეტოქესო.

თავის წილ ბედს მოიძიებს დღეს ზაპოროჟიეს „მეტალურგი". უკრაინელები ინგლისური პრემიერლიგის ბოლო ტურში „არსენალისგან" გაგორებულ „ლიდსს" უმასპინძლებენ, იმ „ლიდსს", რომელმაც „მეტალურგი" შინ ალან სმიტის გვიანი გოლით ძლივს დაამარცხა. ტერი ვენეიბლზი ზაპოროჟიეს დანაკლისით ეწვია. ტრავმირებულნი არიან ჯონათან ვუდგეიტი, ლუკას რადებე და დომენიკ მატეო.

სტუმრად მიღწეული გამარჯვების განმტკიცებას შეეცდება ჟან ტიგანას „ფულემი". ბრიტანელებმა „ჰაიდუკს" მინიმალური სხვაობით სძლიეს პირველ შეხვედრაში და ამ უპირატესობის გამოყენებას აპირებენ, თუმცა ხორვატთა დაჩაგვრა ადვილი საქმე რომ არ არის, კარგად მოგეხსენებათ.

„იფსვიჩი" პირველ მატჩში შინ მარცხს ძლივს გადაურჩა უსახელო იუგოსლავიურ „სარტიდთან". იუგებს უგოლო ფრეც ჰყოფნით შემდეგ ეტაპზე გასაღწევად. ბრძოლა არ ესწავლებათ და „იფსვიჩთან" უკვე დაამტკიცეს, ფეხბურთის თამაშიც სცოდნიათ.

სერია A-ში „იუვენტუსის" კინაღამ მომგები, გადახალისებული „პარმა" ვალერი გაზაევის არმიას დაუხვდება. კლაუდიო პრანდელის გუნდმა საკუთარი თამაში იპოვა და ალბათ ცსკა არაა ის ბარიერი, იტალიურ გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლაში ხელს რომ შეუშლის. „პარმას" მწვრთნელი თავდაპირველად მთავარი ბიჭების — საბრი ლამუშის, ადრიანოს და ჟუნიორის დასვენებას აპირებდა, მაგრამ, ეშმაკს არ სძინავსო და, ბოლოს გადაწყვიტა, ისინი ათამაშოს, რათა მოსკოველ სტუმრებთან საქმე სამკითხაოდ არ გაუხდეს.

საბერძნეთში უმთავრესი თავად „ქსანტი" — „ლაციოს" მატჩი კი არა, ერთწლიანი შესვენების შემდეგ ენრიკო კიეზას დაბრუნება იქნება. თამაში კი რა — რომაელები ოთხბურთიანი ფორით ჩააკითხავენ მეტოქეს, რაც რობერტო მანჩინის გუნდს მშვიდად ყოფნის საფუძველს აძლევს.

სამწუხარო ამბავი შეემთხვა ბულგარული „ლიტექსის" მეგოლე დესისლავ როუსევს. შინჩემპიონატის მორიგი ტურის შემდეგ დესისლავი შინ ბრუნდებოდა. ავტომობილის საჭესთან მამამისი იჯდა. მამას საჭე გაექცა და გზიდან გადაცვივდნენ. ფეხბურთელმა ხელი მოიტეხა და თავის გუნდს ათენში „პანათინაიკოსთან" ველარ დაეხმარება.

მეორე ბულგარულ გუნდს, ცსკა-ს შესაძლებლობა ეძლევა ინგლისური „ბლეკბერნის" ბარიერი გადალახოს. სტუმრად ნათამაშები ფრის შემდეგ სოფიელები ყველაფრის გაღებას აპირებენ სასურველი შედეგის მისაღწევად.

ინგლისელებს ყოფილი მანჩესტერელი ფორვარდი დუაიტ იორკი არ ეყოლებათ, რომელიც პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩში დაშავდა.

„ამ კვირაში ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის. სოფიაში ცსკა-სთან და პრემიერლიგაში „ტოტენჰემთან". იორკი ორივეგან დაგვაკლდება, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მალე გამოჯანმრთელდება" — თქვა „ბლეკბერნის" მწვრთნელმა გრემ სუნესმა.

სხვებთან შედარებით არცთუ ურიგოდ აქვს საქმე ბულგარულსავე „ლევსკის". გეხსომებათ, „ლევსკი" კიევის „დინამომ" ჩამოიცილა ჩემპიონთა ლიგისკენ მიმავალ გზაზე, თუმცა უკრაინელებს საამისოდ გვარიანი ჯაფა კი დაადგათ.

„ლევსკიმ" „ბრონდბიუსთან" პირველივე მატჩში აჩვენა, რომ მართლაც სერიოზული გუნდია. ბულგარელები საკმაო მარაგით ეწვევიან მეტოქეს. ერთადერთი, რამაც ოდნავ წაუხდინათ ხასიათი, მწვრთნელის თანაშემწის, გეორგი ტოდოროვის გათავისუფლება გახლავთ.

შინ, „ვისლასთან" 0:2 მარცხი არ აპატიეს „პრიმორიეს" აწ უკვე ყოფილ თავკაცს ბორჩე სრედოევიჩს. მის ნაცვლად ადრიან ფედიჩს უხმეს, რომელსაც გუნდში ადრეც უმუშავია.

დიდი გამალებით ემზადება შვეიცარული „გრასჰოპერის" დასახვედრად სანქტ პეტერბურგის „ზენიტი". ორბურთიანი სხვაობის ამოქაჩვა შეუძლებელი არაა, მაგრამ კარგად მოთამაშე „კალიებთან" „ზენიტს" მაინც გაუჭირდება. ტრავმების გამო მასპინძლებს დენის უგროვი და ვალენტინ ფილატოვი ვერ დაეხმარებიან, ხოლო მეკარე სერგეი ივანოვი ცალკე ვარჯიშობს, რადგან დროდადრო მხარს იტკივებს.

„ზენიტის" მომზადების პროგრამაში ვარჯიშის გარდა მუსკომედიის თეატრში წასვლაც შედის თურმე, დღეს დილიდან კი გუნდი იზოლირებული იქნება ყველა შემწუხებლისგან.

სრულიად მოულოდნელად დატოვა თანამდებობა „ანდერლეხტის" გენერალურმა დირექტორმა ალან კურტოისმა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც „ანდერლეხტმა" შინ ნორვეგიულ „სტაბეკთან" მარცხი იწვნია. ახლა ბელგიურ გუნდს დაკარგულის ამოქაჩვა სტუმრად მოუწევს.

უჟარდელო „სპორტინგს" „პარტიზანთან" საკუთარ თავზე გადახტომა მოუწევს. მართალია, ბრაზილიელი ფორვარდი ლისაბონში დაბრუნდა, მაგრამ ის რომ ფორმაში ჩადგება, უეფას თასის გათამაშება, ალბათ, უკვე დასრულებული იქნება.

ჩვენს მეზობელ თურქებზეც ვთქვათ. წყალწაღებული „ქოჯაელსპორი" „ფერენცვაროშს" ემუქრება და შეიძლება მოუგოს კიდეც, თუმცა საეჭვოა, უნგრელებმა ოთხბურთიანი მარაგი გაანიავონ.

უკეთეს მდგომარეობაშია ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაფრენილი „ფენერბაჰჩე". სტუმრად ნათამაშები ფრის შემდეგ შვედური აიკ-ის დაძლევა არ უნდა გაუძნელდეს. მით უმეტეს, „ფენერის" ფანები გერმანელი მწვრთნელისა და არიელ ორტეგასგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ.

შავი დახვედრა ელის მირჩა ლუჩესკუს თუ ბოსნიური „სარაევოს" ბარიერი ვერ გადალახა. „ბეშიქთაში" სტამბოლში შეიძლება მალულად დაბრუნდეს, ლუჩესკუ კი პიონერულად იფიცება, რაც უნდა მოხდეს, ყველაფერს ვიღონებ და „სარაევოს" გავიტანთო.

**გაგა ხუციშვილი**


ლიდსელ მარკ ვიდუკას ზაპოროჟიეში იოლი გასეირნება არ ელის


ფერენცვაროშელი დრაგან ვუკმირი და კოჯაელელი ივანოვ ლაზაროვი (მარჯვნივ) ამჯერად ნაკლები ჟინით იბრძოლებენ, ყველაფერი ფაქტობრივად გარკვეულია

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. E ჯგუფი




REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ნიუკასლი. ალესანდრო დელ პიერომ მეორე გოლისას ბურთი სამ მცველს შუა გააძვრინა

# ტურინი რობსონის მტერია

**იუვენტუსი 2:0 ნიუკასლი**

1:0, 2:0 დელ პიერო (66, 81)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, მონტერო, იუ-ლიანო, მორეტი, დავიდსი, ტუდორი (ბირინ-დელი 84), ბაიოკო (ფრეზი 86), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო (ტრეზეგე 17)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი (ამეობი 79), ჰ. ობ-რიენი, დაბიზასი, ჰიუზი, სოლანო (ვიანა 70), სპიდი, ჯენასი (ლუა ლუა 79), რობერი, დაიერი, შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)
41 424 მაყურებელი

**ნაპსი არ გატყდა** და ბობი რობსონმა „დელე ალპი“ კვლავ გაწბილებულმა დატოვა. თორმეტი წლის წინ მისმა მართლაც ჩინებულმა ინგლისის ნაკრებმა, სწორედ ამ სტადიონზე დათმო მუნდიალის ნახევარფინალური მატჩი გერმანელებთან.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ნირწამხდარმა რობსონმა თქვა, „ნიუკასლი“, მიუხედავად ზედიზედ მესამე მარცხისა, არ გამტყდარა, უფეს თასისკენ უჭირავს თვალიო.

„ზებრებმა“ თამაში კარგად დაიწყეს. ნოლბერტო სოლანომ გამოზომილი პასით შირერს ნაღდი საგოლე შანსი მისცა, მაგრამ „ბებერს“ მიზანი გაუცუდდა. „იუვენტუსის“ შეტევაში დელ პიერო და ყოფილი პარმელი დი ვაიო ჰყავდა. წყვილი არცთუ ურიგოდ ირჯებოდა, მაგრამ დი ვაიოს არ გაუმართლა, მეტოქეს თავით შეასკდა და გასახდელში კი არა, ეგრევე საავადმყოფოში გააქანეს საბედნიეროდ, სერიოზული არაფერია, თავდამსხმელს მხოლოდ რამდენიმე დღე მოუწევს წამლობა.

სერია A-ს ჩემპიონს შარი ხეირად ექცა დი ვაიოს ნაცვლად შესულმა დავიდ ტრეზეგემ თავი გაიგიჟა — ამდენი ხნის უთამაშებელმა, აქაოდა, ვინმეს რამე არ შეეშალოსო, ურახუნა და ურახუნა, შეი გივენი აქეთ-იქით აფორთხიალა, თუმცა ამ უკანასკნელის სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ ტრეზეგეს დაჭუხებულებს მედგრად ხვდებოდა, ზოგჯერ იღბალიც შველოდა, ხან კი კარის ძელი ეხმარებოდა.

„ნიუკასლის“ ნახევარდაცვა მაგრად ტრიალებდა, ბევრსაც მოძრაობდა, მაგრამ მოედნის შუახაზის იქით შემოქმედებაში მოიკოჭლებდა და მასპინძელთა კარის დარაჯს საქმეს უიოლებდა — ჯანლუიჯი ბუფონი მხოლოდ პირველი ტაიმის მიწურულს გაისარჯა, ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა და რობერის უძლიერესი გასროლილი ჩამოხსნა.

დელ პიერომ კი პირველი გოლი თავისი საფირმო საჯარიმო დარტყმით შეაგდო. ნიკოს დაბიზასმა იგი ზედ საჯარიმოს ხაზთან დააგდო, აქედან კი ალესანდროს საჯარიმო თითქმის თერთმეტმეტრიანია.

ცოტა ხანში შირერმა შეიკუნტრუშა და გამარჯვების ყიჟინა დასცა. მისმა თავურმა ბუფონის კარის ბადე შეარხია, მაგრამ ვაი, რომ თანამსაჯს დროშა მაღლა ჰქონდა აწეული და ალანის სიხარული ხანმოკლეზე გამოდგა.

გულნატკენი შირერი თამაშის მერე ჰოლანდიელ მსაჯ რენე ტემინკს თურმე შეედავა და არბიტრმაც დანაშაული ნებაყოფლობით აღიარა. ასეც გახლდათ, „ჯორდთა“ მეგოლე თამაშგარედ არ ყოფილა, რობერის ჩინებული პასისას მხოლოდ კრონ დაიერი იდგა მოწინააღმდეგე მცველთა წინ, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არჩათვლილი საგოლე სიტუაციის სცენიდან საკმაოდ მოშორებული იყო და დაიერიც პასიურ კი არა, ზეპასიურ თამაშგარეში იმყოფებოდა.

იტალიელებმა მატჩის მიწურულს მეორე გოლიც მიაყოლეს. დავიდსმა საჯარიმოში პარტნიორები მონახა, ზემოთ ნაქებმა ტრეზეგემ ზურგს უკან დელ პიერო იგუმანა, უბრალოდ ასწია ფეხი, ბურთი გაატარა და ამანაც დაჰკრა. შეი გივენს ამჯერადაც არ ჰქონდა შანსი — კარში შეფრენამდე ბურთი მცველს მოხვდა და რიკოშეტს „ნიუკასლის“ კარის დარაჯმა ვერაფერი მოუხერხა.

**ფეიენოორდი 0:0 დინამო**

ფეიენოორდი: ზუტებიერი, ემერტონი, პაუვ ვან ჰაანი, რზასა, ჩ. სონგი, ბოსველტი, ონო, პარდო (ვან პერსი 55), ვან ჰოიდონკი, ბუფელი (კალუ 65)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვეიკი
დინამო: რევა, ბოღდანი, ხაცკევიჩი (ლეკო 63), გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, პეევი, გიოანე, გუსინი, ჩერნატი (რინკონი 84), მელაშჩენკო, შაცკიხი
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო
მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრები (ნორვეგია)
48 000 მაყურებელი

**„ბუნდი** ბევრს ეცადა, თავიც დადო, პირველ ნახევარში ვერაფერი გავაწყვეთ, მეორეშიც [illegible] გვქონოდა და კარგადაც ვითამაშეთ, მაგრამ...“ — მატჩის შემდეგ მხოლოდ ესღა თქვა „ფეიენოორდის“ მწვრთნელმა, ბერტ ვან მარვეიკმა და მისი ეს მოკლე შეფასება ზედმიწევნით ასახავს შეხვედრის ხასიათს. მასავით მოკლედ გეტყვით: პირველ ტაიმში ჰოლანდიელები უტევდნენ, უკრაინელები დაცვაში იდგნენ, მეორეში ვან ჰოიდონკს გოლის გატანის შესაძლებლობებიც კი ჰქონდა, მაგრამ კიეველთა კარს გასაღები ვერა და ვერ მოარგო.

ვან მარვეიკმა თამაშის გასამრავალფეროვნებლად შეცვლაზე ვან პერსი და კალუ შეუშვა, მათაც ბევრი ოფლი ღვარეს, იერიშები გაამძაფრეს, თუმცა ეს იყო და ეს.

დაცვაში მყარად ჩამდგარი „დინამო“ შიგადაშიგ მწარედ იკბინებოდა. ერთ-ერთი კონტრშეტევისას სამხრეთამერიკელი ლეგიონერი, რინკონი „ფეიენოორდის“ საჯარიმოში შენავარდდა. შემდეგ პენალტი მოითხოვა, მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ იგი მცველთა დაუხმარებლად წაიქცა. ჰოლანდიელები ამ მომენტიდან რამდენიმე წუთშიც სასწაულებრივად გადარჩნენ. ამჯერად მაქსიმ შაცკიხის დარტყმული გოჯით ასცდა მიზანს. არადა, უკვე წამატებული დროის მეორე წუთი იწურებოდა.

შეხვედრა ლოგიკური ფრით დამთავრდა, ალექსეი მიხაილიჩენკომ ნამატჩევს თქვა: „ჩვენმა ტაქტიკამ გაამართლა, „ფეიენოორდისთვის“ ბევრი შანსი არ მიგვეცია. მატჩი ურთულესი იყო, მეტწილად ფსიქოლოგიურ მხარეს ვგულისხმობ. ტურინული სირცხვილის შემდეგ სტუმრად ფრე ურიგო შედეგი არ არის.“

**გიორგი მამარდაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| ფეიენოორდი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | 4 |
| ნიუკასლი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. F ჯგუფი

# ეგეთებს არ იყოს!

## ბერძნებმა მარცხი ბრაზილიურად ახსნეს

**მანჩესტერი 4:0 ოლიმპიაკოსი**

1:0 გიგზი (19), 2:0 ვერონი (26), 3:0 გიგზი (66), 4:0 სოლსკიაერი (77)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი (ო'ში 69), ფერდინანდი, სილვესტრი, ბექჰემი, ვერონი, ბათი, გიგზი (ფორჩუნი 69), სქოულზი (ფორლანი 77), სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ვენეტიდისი, ანატოლაკისი, ამანატიდისი (მავროგენიდისი 73), ანცასი, იანაკოპულოსი (დრაჩენა 46), კარემბე, ზე ელიასი, ჯორჯევიჩი, ზეტერბერგი, ოფორი-კუაიე (ალექსანდრისი 59)
მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
გაძევება: ზე ელიასი (45)
მსაჯი: დიკ იოლი (საფრანგეთი)
66 902 მაყურებელი

**თამაშის მერე** სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, ხუან ვერონმა რომ გაიტანა, ეგეთი ლამაზი გოლი რა ხანია, არ მინახავსო. არგენტინელმა ბურთი ერთი შეხებით დაიმორჩილა და თავზეც გადაუგდო ბერძენთა მეკარე დიმიტრიოს ელეფთეროპულოსს. ეს მანჩესტერელთა მეორე გოლი იყო, რამაც გვარიანად წაუხდინა ხასიათი სტუმრებს, ხოლო პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ბრაზილიელი ზე ელიასის გაძევებამ საბოლოოდ დააყრევინა ფარხმალი.

ანგარიში კი რაიან გიგზმა გახსნა და მანვე გაიტანა მესამე. ოღონდ შევნიშნოთ, რომ მესამე გოლისას გიგზს კარში დარტყმა აზრადაც არ მოსვლია, უბრალოდ კარის გასწვრივ ჩააწოდა, თან არცთუ საუკეთესოდ და გეორგიოს ანატოლაკისისგან მცირედი რიკოშეტით გავიდა. დაბეჩავებულ „ოლიმპიაკოსს“ მეოთხე გოლი ოლე გუნარ სოლსკიაერმა უთავაზა და თამაშიც ამით მორჩა.

სამ მატჩში ცხრა ქულა ის მარაგია, „მანჩესტერს“ სიმშვიდეს რომ მოუტანს. მართალია, თეორიულად ისეც შეიძლება მოხდეს, რომ გუნდი ჯგუფში ჩარჩეს, მაგრამ თქვენ ამის გჯერათ?

ჯგუფში ჩარჩენისა არც ფერგიუსონს სჯერა, მაგრამ ნაადრევად ჰოპის დაძახება მისი წესი არაა. „სულ მცირე, ერთი ქულა კიდევ გვჭირდება — თქვა მწვრთნელმა — მოპოვებაც არ უნდა გაგვიჭირდეს, რადგან უმაღლესი კლასის ფეხბურთს ვთამაშობთ. საწყის 25 წუთში კი სულაც შეუდარებლები ვიყავით.“

„ოლიმპიაკოსის“ თავკაცმა პანაიოტის ლემონისმა წაგების ზე ელიასისთვის გადაბრალება სცადა: „ზე ელიასის გაძევებამდე თამაშის გადარჩენის დიდი არა, მაგრამ შანსი მაინც გვქონდა. ვიცოდით, „მანჩესტერის“ წინააღმდეგ ურთულესი ბრძოლა რომ გველოდა, რისთვისაც მზად ვიყავით. ზე ელიასის გაძევებამ კი გეგმები აგვირია.“

ზე ელიასი ვერონთან უხეშობისთვის გააძევეს, მაგრამ ნუთუ მართლა ეს იყო ბერძენთა მარცხის მიზეზი?

**მაკაბი 0:2 ლევერკუზენი**

0:1, 0:2 ბაბიჩი (31, 63)
მაკაბი: ავატი, კეისი, ბენადო, ედიოფორი, ზანო, პრალია (ისრაილევიჩი 70), ეუტაუტასი, ბადირი (ზანდბერგი 61), როსო, კატანი (კოენი 61), აიეგბენი
მწვრთნელი: იცხაკ შუმი
ლევერკუზენი: ბუტი, თიკუოგინი, რამელო, ლუსიო, ბალიტში, ოჯიგვე, შნაიდერი (ბიროფკა 86), ბასთურქი, ბაბიჩი (ვრანიეში 76), ნოვოტნი, ბრდარიჩი (ბერბატოვი 70)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)
4 500 მაყურებელი

**იენს ნოვოტნიმ**, რომელიც ტრავმის გამო „ლევერკუზენს“ კარგა ხანია, ვერაფრით ეხმარება, მატჩის წინ დაიანგარიშა: თუკი ჩვენ „მაკაბის“ დავამარცხებთ, „მანჩესტერი“ კი „ოლიმპიაკოსს“, სამ გუნდს სამ-სამი ქულა დაგვიგროვდება და ყველაფერი თავიდან დაიწყებაო. ერთი სიტყვით, დაკარგული ჯერ არაფერიაო.

ისე ყველაფერი აგიხდეთ, ნოვოტნის რომ აუხდა. ხორვატი მარკო ბაბიჩის წყვილმა გოლმა იმედგაცრუება მოუტანა ებრაელებს, რომლებიც მთელი მატჩი ჯიგრით იბრძოდნენ და, კაცმა რომ თქვას, წაგებას არც იმსახურებდნენ.

პირველი ტაიმის მიწურულს, 44-ე წუთზე ჰაიფელმა ავიშაი ზანომ პენალტი გააფუჭა — ჯერ ძელს გაარტყა, დამატებაზე კი კარს გადააცილა. შესვენების მერე, 1:1-ზე რა თამაში წავიდოდა, აბა, ვინ იცის.

მაგრამ ზანომ გუნდი დაალალატა, ბაბიჩმა მეორეც გაიტანა, იცხაკ შუმს კი სამი ფორვარდით თამაშმაც ვერ უშველა.

გოლები კი ასე გავიდა: პირველად ბაბიჩმა ბერნდ შნაიდერის ჩაკიდებულ საჯარიმოს დაუხვედრა თავი, ხოლო მეორედ, უშორესი დარტყმით ჩაჭედა ცხრიანში.

„გამარჯვება იოლი არ ყოფილა — თქვა ნამატჩევს კლაუს ტოპმიოლერმა — „მაკაბიმ“ ძალიან კარგად ითამაშა, ერთი ეგაა, მეტოქე ფეხბურთელები დაღლილები გამოიყურებოდნენ. დღევანდელი გამარჯვება სატურნირო ვითარების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, დარჩენილი მატჩებიდან ორი შინ გვაქვს.“

იცხაკ შუმმ კი თქვა: „ჩვენსა და „ლევერკუზენს“ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მეტოქემ ორი გოლი გაგვიტანა, ჩვენ კი პენალტიც გავაფუჭეთ და სხვა კარგი მომენტებიც.“

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 9 |
| მაკაბი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:9 | 3 |
| ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ოლიმპიაკოსი. პოლ სქოულზმა კრისტიან კარამბეუს ბურთი ნახტომში აართვა

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. G ჯგუფი

# წარმოუდგენელია

## მეჭემნგაუმერისთვის გასვლა, ჰიცფელდისთვის ჩარჩენა



ბაიერნი — მილანი. რივალდომ (მარცხნივ) და ოუენ ჰარგრივსმა, როგორც ხდება, ბურთისთვის ბრძოლას ხელის კვრაც დაამატეს

**ბაიერნი 1:2 მილანი**

0:1 ინძაგი (52), 1:1 პიზარო (54), 1:2 ინძაგი (84)

ბაიერნი: კანი, ჰარგრივსი, რ. კოვაჩი, ლინკე, ტარნატი (ციკლერი 86), სალიჰამიჯიჩი, იერემიესი, ბალაკი, ზე რობერტო, ელბერი, პიზარო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (სერჯინიო 77), ზეედორფი, რუი კოშტა (ლაურსენი 85), რივალდო (ამბროზინი 66), ინძაგი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მსაჯი: პიუ დალასი (შოტლანდია)

63 000 მაყურებელი

**„მილანი"** ცალი ფეხით ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზეა, თუმცა კარლო ანჩელოტის ამაზე ლაპარაკი ნაადრევად ეჩვენება და აცხადებს: „სიფრთხილე გვმართებს. ჯერ გარკვეული არაფერია. მართალია, მოგებით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ გამარჯვება ისეთი შთამბეჭდავი არ იყო, როგორიც ერთი კვირის წინ ლა კორუნიაში. მაშინ „დეპორტივო" პირწმინდად გავაცამტვერეთ, ახლა კი თამაშით „ბაიერნმა" გვაჯობა."

ფრანც ბეკენბაუერი, მიუნხენელთა პრეზიდენტი და კაცი-ლეგენდა ნამატჩევს ცოფებს ყრიდა: „ახლა მხოლოდ სასწაული თუ გვიშველის ჯგუფიდან გასვლაში. „ბაიერნი" გუნდი არ არის, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — ასეთი თამაშით მილანში და ლა კორუნიაში მოგება წარმოუდგენელია".

გასაკვირია, მაგრამ პრეზიდენტს ჯიუტად არ ეთანხმება ოტმარ ჰიცფელდი: „ჩვენ კარგად ვითამაშეთ, უბრალოდ, არ გაგვიმართლა. გოლი რომ გავუშვით, მეტოქეს მძლავრად მივაწექით და მალევე გავუთანაბრეთ, ბიჭებმაც ირწმუნეს, რომ გამარჯვება შეიძლებოდა. სამწუხაროდ, დაცვაში ზურგი მოვაშიშვლეთ და დავისაჯეთ. სხვა რა გზაა, უძნელესი იქნება, მაგრამ დარჩენილი სამივე მატჩი უნდა მოვიგოთ. „ბაიერნის" ჯგუფში ჩარჩენა ჩემთვის წარმოუდგენელია."

თავად მატჩში რა მოხდა? ჯოვანი ელბერმა პირველ ტაიმში ასპროცენტიანი შანსი გაანიავა, როცა დიდასთან პირისპირ შეყრილმა სასწაულებრივად ვერ გაიტანა. არბიტრმა ჰიუ დალასმა პირველ ტაიმშივე სიმულანტობისთვის გააფრთხილა მიხაელ ბალაკი, რომელიც კახა კალაძესთან ჯაჯგურისას პენალტს ითხოვდა. ორი უხეში შეცდომის მიუხედავად, ჩინებულად გაისარჯა „მილანის" ბრაზილიელი მეკარე — ბალაკი რამდენჯერმე ჯარიმიდან არ გააზარა, ერთი-ორჯერაც უნაკლო ნახტომებით შორიდან დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია.

და ინძაგი! ევროთასებზე იტალიელთაგან ყველა დროის მეგოლე-რეკორდსმენი ბრწყინვალე ფორმაშია, ლიგის სამ თამაშში შვიდჯერ დაამწუხრა ვარმუზი, ხუანმი და კანი. ხოლო რაც სეზონი დაიწყო, რვა მატჩში თორმეტი ბურთი შეაგდო. კომენტარი მართლაც რომ ზედმეტია.

**დეპორტივო 3:1 ლანსი**

0:1 მორეირა (10), 1:1 მაკაი (50), 2:1 კაპდევილა (79), 3:1 სეზარი (84)

დეპორტივო: მოლინა, ექტორი (სკრონი 46), ნაიბეტი, სეზარი, რომერო, სკალონი, დუშერი (კაპდევილა 70), მაურო სილვა, ფრანი, ტრისტანი (ლუკე 77), მაკაი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ლანსი: ვარმუზი, ფერდინანდ კოლი, რ. სონგი, ბაკე (კულიბალი 65), რული, ბლანშარი, კორიდონი, საბიროსკი (ბაკარი 83), ბედრონი (დიაწ-ფერნე 77), უტაკა, მორეირა

მწვრთნელი: ჟოელ მიულერი

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

28 000 მაყურებელი

**„ეს იყო** ლიგის შესაფერისი კლასიკური მატჩი. „ლანსმა" დაამტკიცა, რომ ძლიერი, მობილური გუნდია, კონტრშეტევებზე ჩინებულად ააწყო თამაში. ჰოდა, კმაყოფილიც ვარ, ასეთ გუნდთან მოგება უფრო ფასობს. ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „დეპორტივო" მილანური შოკიდან გამოვიდა" — განაცხადა ხავიერ ირურეტამ.

მაკაიმ, კაპდევილამ და სეზარმა სტუმარი მორეირას ჰანდიკაპი მეორე ტაიმში სათავისოდ შეატრიალეს და ჯგუფში მეორეობა ჯერჯერობით გაამყარეს.

ჟოელ მიულერს, „ლანსის" მწვრთნელს კი დანა პირს არ უხსნიდა: „შედეგით ძალიან გაწბილებული ვარ. არ ველოდი, თუ მეორე ტაიმში ბიჭები შეშინდებოდნენ. ჯგუფიდან გასვლის შანსი მიზერულია, თუმც არა დაკარგული."

ირურეტამ დაპირებისამებრ ორი თავდასხმელით ითამაშა, დიეგო ტრისტანი როი მაკაის შეუწყვილა და „დეპორტივოც" მეტოქის საჯარიმოს მიაწყდა. ფრანგებმა შტურმს გაუძლეს — შტურმს, რომელიც სულ რაღაც 10 წუთი გაგრძელდა. „ლანსმა" სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, დანიელ მორეირა მეკარესთან პირისპირ დარჩა და ძირითადში დაბრუნებული ხოსე ფრანსისკო მოლინა დაალონა. მეორე ტაიმში ირურეტამ ტაქტიკა შეცვალა, „დეპორმაც" ფეხა გამოაჩინა და ვარმუზსაც სამჯერ მოუხდა ბურთის ბადიდან გამოტანა.

**გიორგი გუგაძიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| დეპორტივო | 3 | 2 | 0 | 1 | 6:7 | 6 |
| ბაიერნი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |
| ლანსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. H ჯგუფი

# ესპანური მოდის კვირეული მოსკოვში

**გალათასარაი 0:0 ბრიუგე**

გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთი (ვედათი 83), ემრე აშიქი, უმასალი, ბატისტა, ფელტე (აიჰანი 70), სუათი, დავალა უმითი, არიფი, ჰ. შაში (ბალიჩი 46), უმით კარანი

მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

ბრიუგე: ვერლინდენი, ბ. მარტენსი, დე კოკი, ვანდერჰეიდენი, სიმონსი, სტოიკა (ნ. ჩემბი 88), ენგლებერტი, ვერჰეიენი (ს. მარტენსი 90), კლემენტი, სერებრიანიკოვი, ლანგე (მენდოსა 54)

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

20 000 მაყურებელი

**ვერა და ვერ** გატეხა ნავსი „გალათასარაიმ". გაზაფხულიდან მოყოლებული ზედიზედ მეხუთე საშინაო მატჩია, ლიგაში გამარჯვების გემო ვერ უგემია. ეს კი არა, გოლის გატანაც დაავიწყდა.

მოგებას მონატრებული „ალი სამი იენი" წითელ-ყვითელ ფერებში გამოეწყო, ღლის ბრახაბრუხი და სიმღერაც იყო, მაგრამ „გალას" მაინც არ ეშველა. „ბრიუგე" გვარიანად კრკეტი კაკალი გამოდგა.

სტუმრები თითქმის არც ფიქრობდნენ შეტევაზე. სამაგიეროდ, ის, რაზეც ფიქრობდნენ, ანუ დაცვა, ძალიან კარგად გამოსდიოდათ.

თამაში დაიწყო თუ არა, თურქები შაშ-არიფის თამადობით ვერლინდენის კარს მიაწყდნენ ბედის საძიებლად. აქამდე გოლთამთვლელ არიფ ერდემსაც გასცუდებია მიზანი. პირველი ნაღდი საგოლე მან შექმნა, თუმცა ორი მეტრიდან იმღენი მოახერხა, ბურთი მეკარეს გაარტყა. იქვე მცველმა იყოჩაღა და ბურთის მოშორებით მომენტი განმუხტა.

ათიოდ წუთში ფელიპეს დაწყებული საქმე კვლავ არიფმა გააგრძელა, დაჰკრა კიდეც, მცველისგან ახლეტილს უმით კარანმაც დაამატა, მაგრამ ჩარჩოშიც ვერ მოახვედრა.

შესვენების შემდეგ ფათიჰ თერიმმა ჰასან შაში ელვირ ბალიჩით შეცვალა, თუმც არც ამ შეცვლამ უშველა. ბალიჩმა კი გაიფაფხურა, ერთხელ კარისკენაც დაარტყა, ოღონდ ამ ამბიდანაც არაფერი გამოვიდა.

ფათიჰ თერიმი ნერვიულობდა, მსაჯებსაც შეეკამათა, საბოლოოდ კი მაინც კმაყოფილი დარჩა: „თითქმის მთელი მატჩი მეტოქე წნეხში გვყავდა მომწყვდეული, მაგრამ როცა ბურთი კარში არ შედის, რა ვქნათ? ფრის მიუხედავად თამაშის ხარისხზე აუგს ვერ ვიტყვი. ასე იქნება თუ ისე, „გალათასარაი" ჯგუფიდან მაინც გავა."

**ლოკომოტივი 1:3 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (29), 0:2, 0:3 სავიოლა (31, 48), 1:3 ობიორა (56)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, დროზდოვი, ლეკგეტო, იგნაშევიჩი, ევსეევი, სენიკოვი, ობრადოვიჩი, მამინოვი, ობიორა (ბუზნიკინი 66), პიმენოვი

მწვრთნელი: იური სიომინი

ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, დე ბური, ნავარო, მენდიეტა, ჩავი, კოკუ, მოტა, ლუის ენრიკე (ჯოვანი 61), კლუივერტი (ხერარდო 75), სავიოლა (რიკელმე 86)

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

მსაჯი: თომას მაკკარი (შოტლანდია)

20 000 მაყურებელი

**რუსული კლუბების** შავლიგური ევროშემოდგომა გრძელდება. ესპანურის გაკვეთილებს მორიგეობით ატარებენ მოსკოვში „ვალენსია" და „ბარსელონა". ვალენსიური ლექციები „სპარტაკმა" მოისმინა, ახლა კი „ლოკომოტივს" წაუკითხეს კატალონიელებმა.

რუსთათვის სასიხარულო ამბავი მაინც მოხდა. მთლიანობაში ორმა მოსკოვურმა კლუბმა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში პირველი გოლი გაიტანა. მათთვისვე სამწუხარო ალბათ ისაა, რომ ეს გოლი არარუსი ჯეიმს ობიორას ანგარიშზეა.

მიუხედავად ბოლო კვირის გადაღლელი მგზავრობისა (სტამბოლი-ბარსელონა-უელვა-მოსკოვი), სტუმრები ფიზიკურად ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ. მათ უკვე მეხუთე წუთზე შეეძლოთ მასპინძელთა დამწუხრება, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა ერთბაშად სამი ბარსელონელი გამოიჭირა თამაშგარე მდგომარეობაში.

„ლოკოს" კონტრშეტევების ორგანიზება არ გამოსდიოდა, რადგან მოედნის შუახაზი „ბარსას" კონტროლის ქვეშ იყო. ერთადერთხელ პიმენოვმა მახვილი კუთხიდან სცადა ვიქტორ ვალდესის გამოცდა და მეკარემ ივარგა.

მერე ობიორამ ჩაირბინა მეტოქის საჯარიმომდე, წაიმსახიობა, გაიშხლართა, მაგრამ თომას მაკკარიმ, შოტლანდიელმა არბიტრმა, არტისტული ნიჭი დაუწუნა. მსაჯმა მისი გარჯა ყვითელი ბარათით შეაფასა.

ნახევარი საათი ილეოდა, როცა მენდიეტამ კლუივერტი დალანდა, ჰოლანდიელი სენიკოვის ზურგს უკან მიიზლაზნებოდა. მენდიეტამ გამოზომილად ჩააწოდა და გრძელფეხასაც არ გასჭირვებია ანგარიშის გახსნა. ოვჩინიკოვმა ხელებიღა გაასავსავა.

მყის მეორე გოლიც გავიდა. ბოსტანში მოფუსფუსე ბაჭიასავით წამოყო თავი ხავიერ სავიოლამ და ხავის ფლანგური გზავნილი „ლოკომოტივის" კარს გადაუღლოცა.

მოსკოველებს წინააღმდეგობის თავი აღარც ჰქონდათ. ორმოცდახუთი წუთი როგორღაც მიაფუჩეჩეს, მაგრამ შესვენების შემდეგ სავიოლამ ერთხელაც წაუწკაპუნა და გაასამა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| გალათასარაი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბრიუგე | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |



გალათასარაი — ბრიუგე. პეტერ ვანდერჰეიდენის ეს გარღვევა ბელგიელთა ერთ-ერთი იშვიათთაგანი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი 2002-2003

## პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ამიცა** (პოლონეთი) 1:2 **სერვეტი** (შვეიცარია) (3:2)

0:1 ფრეი (35), 1:1 ბურხარდტი (62), 1:2 ფრეი (88)

ამიცა: ზამოტულსკი, სკრობეკი, გჯსიორი, დოკოვიჩი, ზუნჩუკი, დემბინსკი, მ. ჯიქია (სავალა 85), ბენიუკი, ბურხარდტი (სობოჩინსკი 62), ბაიორი, კროლი (კოვალჩიკი 90)

მწვრთნელი: მიროსლავ იაბლონსკი

მსაჯი: დეიან დელევიჩი (იუგოსლავია)

1 500 მაყურებელი

**ჰერტა** (გერმანია) 1:0 **აბერდინი** (შოტლანდია) (0:0)

1:0 პრეეცი (90)

**შახტარი** (უკრაინა) 1:0 **აუსტრია** (ავსტრია) (1:5)

1:0 ლევანდოვსკი (79)



ამიცა — სერვეტი. გორან ობრადოვიჩს ოდნავ ზუსტად რომ დაერტყა, შემდეგ ეტაპზე სტუმრები გავიდოდნენ

# აბერდინული სევდა

## ეს პრეეცი ვინ ყოფილა

## აუსტრიას შახტარის მუქარა სასაცილოდ არ ეყო

**უეფას თასის მატჩების** უმეტესი ნაწილი დღეს ჩატარდება, თუმც სამი შეხვედრა, რაც წესად იქცა, სამშაბათს გაიმართა.

გერმანული „ჰერტა" შოტლანდიური უგოლო პირველი რაუნდის შემდეგ „აბერდინს" ბერლინში დაუხვდა და ქომაგებიც გვარიანად ანერვიულა. მატჩის ერთადერთი გოლი ვეტერანმა, შეცვლაზე შესულმა პრეეცმა მსაჯის წამატებულ დროში გაიტანა და თავისი გუნდიც შემდეგ ეტაპზე გაიყვანა. არადა, საქმე ეგებ პენალტების სერიამდე მისულიყო და ვინ იცის, რა მოხდებოდა.

„ძალიან გახარებული ვარ — თქვა ნამატჩევს ჰუუბ სტევენსმა — პრეეცმა გამიმართლა. მოედანზე იმიტომ შევუშვი, რომ დავინახე ლუიზაოს დაღლა დაეტყო. პრეეცი კი ფიზიკურად ძლიერია და თავითაც კარგად თამაშობს. დარწმუნებული ვიყავი, გამოგვადგებოდა. ასეც მოხდა."

მანამდე კი „ჰერტამ" შოტლანდიელთა კართან მრავალი მომენტი შექმნა. მარტო მარსელინიოს სამი ჩინებული შანსი მიეცა. ორჯერ ბარტ გოორსაც უნდა გაეტანა.

„ჰერტას" საქმე ანდრეას ნოინდორფის გაგდებამაც გაურთულა. მართალია, ნოინდორფს აბერდინელი ერიკ დელომექსიც მიჰყვა ორი ყვითელი ბარათის მიღებისთვის, მაგრამ გერმანელებს გოლი ვერა და ვერ გაჰქონდათ. ის კი არა, მატჩის დასრულებამდე აბერდინელ ფაბიანოს ბურთი გერმანელთა მეკარისთვის რომ არ მოერტყა, საქმეს ვეღარც პრეეცი უშველიდა. მაგრამ ბედმა ბერლინელები არ გაწირა, ბოლო წუთზე მარსელინიოს ფლანგიდან ჩაწოდებულს პრეეცმა თავი დაუხვედრა და მასპინძლებმაც შვებით ამოისუნთქეს.

გერმანელებზე გაცილებით რთული ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი დონეცკის „შახტარს". ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავარდნილი უკრაინელები ვენაში „აუსტრიამ" 5:1 გვემა და პრესტიჟისთვის თუ იბრძოლებდნენ. მართალია, მატჩამდე დონეცკელები გოლების წვიმით იმუქრებოდნენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, პირველ ნახევარში ერთი ხეირიანი მომენტიც ვერ შექმნეს.

გოლის გატანა „აუსტრიას" შეეძლო, დონეცკელები რადოსლავ გილევიჩის დარტყმულისგან მეკარე შუტკოვის შესაშურმა რეაქციამ იხსნა.

დონეცკელთა ულიმღამო თამაში მეორე ტაიმშიც გაგრძელდა. მართალია, ნევიო სკალას ყოფილი შეგირდები სამი თავდამსხმელით უტევდნენ, მაგრამ ხეირიანს ვერაფერს ქმნიდნენ. ტაიმის შუაწელში ვორობეიმ ააცილა, ეს იყო და ეს.

გოლი კი „შახტარმა" მაინც გაიტანა შეცვლაზე შესული ლეგიონერების წყალობით. მატჩის დასრულებამდე 11 წუთით ადრე ბრანდაომ ლევანდოვსკის მიაწოდა და ამ უკანასკნელმაც დონეცკელებს არაფრისმომტანი გამარჯვება მოუტანა.

შემდეგ ეტაპზეა მამია ჯიქიას „ამიცა". პოლონურ კლუბს პირველი მატჩი შვეიცარიაში 3:2 მოეგო და თითქოს საკუთარ მოედანზე პრობლემები არ უნდა შექმნოდა, თუმც შარშან უეფას თასზე სამი წრის გამვლელმა „სერვეტმა" ბოლომდე იბრძოლა და გამარჯვებაც მოახერხა. ეგაა, მეტოქის მოედანზე მეტი გატანილი გოლის წყალობით შემდეგ წრეში „ამიცა" გავიდა.

„სერვეტი" თავიდანვე დაწინაურდა ფრეის გოლით. ფრეიმვე მატჩის მიწურულს გამარჯვებისა შეაგდო. მის გოლებს შორის კი ბურხარდტმა თავისი კლუბის გადამრჩენი გაიტანა.

„ვიცი, რომ ეს ძნელი იქნება, მაგრამ მინდა, ჩემმა გუნდმა ყოველთვის ისე ითამაშოს, როგორც ჟენევური მატჩის მეორე ტაიმში" — თქვა საშინაო შეხვედრით უკმაყოფილო „ამიცას" მწვრთნელმა მიროსლავ იაბლონსკიმ.

**სერგი ძორიძე**



ჯონ მაკლელანდმა და ალექს მაკლიშმა ფული დაითვალეს

# ცხიმიანობის უკუჩვენება

## მაძღარ რეინჯერსს ვალი რას გააკვირვებს

**მაძღარი** კლუბია „გლაზგო რეინჯერსი", მაგრამ მის ცხიმებსაც ჰქონია უკუჩვენება.

კლუბის აქციონერთა საგანგებო შეკრება ყოველწლიურად იმართება და წესი არც ახლა დარღვეულა.

„რეინჯერსის" თავმჯდომარე ჯონ მაკლელინდმა მეპაიეებს ამცნო, კლუბის ვალი 52 მილიონ გირვანქამდე გაიზარდაო.

დავალიანების მიზეზები ცნობილია — ბოლო სამი წლის განმავლობაში „რეინჯერსმა" 50 მილიონი გირვანქა დახარჯა ახალი ფეხბურთელების შესაძენად.

აგრეთვე კლუბმა ახალი საწვრთნელი კომპლექსი, „მურეი პარკი"ააგო, რაც 15 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

„ეს არ გახლავთ დიდად სანერვიულო, რადგან ვითარება ჩვენს კონტროლს ექვემდებარება. ჰოდა, ვალების ასეთი ზრდა არ უნდა გვიკვირდეს. ჩვენ ინვესტიციები გავილეთ და შედეგად მაღალი კლასის გუნდი გვყავს. მნიშვნელოვანია „მურეი პარკისთვის" დახარჯული ფულიც, რითაც დავაფინანსებთ მოზარდთა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების მთლიან სისტემას „რეინჯერსისთვის". ვალებს თავს გავართმევთ, ოღონდ არ უნდა ჩავთვლიმოთ" — ასე მოხაზა სიტუაცია ჯონ მაკლელანდმა.

აიბროქსელთა თავმჯდომარე წმინდა სპორტულ ასპექტებსაც გადასწვდა და თქვა, დიკ ადვოკაატის წასვლა და ალექს მაკლიშის დანიშვნა დროული ნაბიჯი იყოო.

**დავით თავართქილაძე**

# შევა ფორმაში?

**ანდრეი შევჩენკომ** 14 აგვისტოს „ლიბერეცთან", ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო. გამოკვლევის შემდეგ „მილანის" ექიმებმა ივარაუდეს, რომ უკრაინელი ფორვარდი ოქტომბერში შეძლებდა ბურთის გაგორებას. აგერ, ოქტომბერიც დადგა, მაგრამ ახალმა შემოწმება შევჩენკოს დაბრუნება ნოემბრამდე გადადო. ფეხბურთელს ჯერ მსბუქი ვარჯიშიც არ დაუწყია, რადგან აღდგენითი პროცესი გაუჯანჯლდა.



ანდრეი შევჩენკო ჯერ ტრენაჟორს უხის

„მილანს" რა უშავს, ისე თამაშობს, უშევჩენკოობა სულაც არ ეტყობა. უკრაინის ნაკრებზე კი რა მოგახსენოთ, ამ თვეში ორი მატჩი აქვს გასამართი საბერძნეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის წინაღმდეგ და ვინძლო სუპერფორვარდის გარეშე ძალიან გაუჭირდეს.

გარდა ამისა, ისევ გაჩნდა ცნობა, თითქოს შევჩენკოს გაყიდვას აპირებენ. „მილანს" მადრიდის „ატლეტიკოს" ყმაწვილი მეგოლე ფერნანდო ტორესი მოსურვებია და რაკი ფული ჭირს, ეგებ შევჩენკოს შეელიოსო. ადრიანო გალიანი კი ძველებურად უარყოფს უკრაინელის გასხვისების შესაძლებლობას.

**გაგა ხუციშვილი**

# კლოზე ფაქიზობა

## ლაუტერნს სხვა ვერაფერი უშველის



„კაიზერსლაუტერნის" თავებმა იფიქრეს და მიროსლავ კლოზეს გაყიდვა მოიფიქრეს



**ბუნდესლიგის** მაჩანჩალა „კაიზერსლაუტერნს" ქვა აღმართში მიეწია — კლუბის ანგარიშზე ევროები ისე მცირდება, რომ მალე მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის ჯამაგირის გაცემა სათუო გახდება.

კლუბის თავჯდომარე რენე იაეგი ამას პირველ რიგში „კირხმეიის" გაკოტრებას უკავშირებს. თუმც მიზეზი გუნდის უეფას თასზე ვერმოხვედრაშიცაა.

კიდევ, „კაიზერსლაუტერნმა" საკმაო თანხა დახარჯა სტადიონის რეონსტრუქციისთვის — 2006 წელს მუნდიალი გერმანიაში ჩატარდება და კლუბის თავკაცობაც რამდენიმე მატჩის „ფრიც ვალტერ შტადიონზე" გამართვას ეშურება, რაც ძვირი სიამოვნებაა.

„ამ ეტაპზე ყველაზე უმთავრესია, რომ რამდენიმე კვირაში როგორმე 5 მილიონი ევრო ვიშოვოთ, არადა, უკვე კაპიკების დათვლა მოგვიწევს" — განაცხადა იაეგიმ.

მაგრამ კლუბს ამ პრობლემაზე როგორც ჩანს, თავი არ აუტკივებია და მოკლე, მარტივ და ალბათ, ყველაზე სწრაფ გამოსავალს მიაგნო — მიროსლავ კლოზე ხომ არ გაგვეყიდა?

კლოზე, რომელმაც სახელი კორეა-იაპონიაში ხუთი გატანილი თავურით გაითქვა, მიმდინარე ბუნდესლიგაში ნამდვილად ვერ ბრწყინავს, მაგრამ მისი სატრანსფერო ფასი დაბალი არ უნდა იყოს.

ეს 24 წლის ფორვარდი ახლა ვერსად ვერ გადავა, რადგან სატრანსფერო სეზონი ევროპაში დახურულია, ჰოდა, „კაიზერსლაუტერნი" კლოზეს კი არა, მის სატრანსფერო უფლებებს ჰყიდის, რაც თითქმის ერთი და იგივეა.

ამის შესახებ „ლაუტერნმა" პირველად ჯერ სწორედ კლოზეს და მის მრჩეველს შეატყობინა. „მათ ამით არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ" — ირწმუნება იაეგი.

ვინძლო გათვალულ „ლაუტერნს" კლოზეს გასხვისებამ მაინც უშველოს, თორემ ანდრეას ბრემეს ბელგიელი შემცვლელი ერიკ გერეტსი ჯერაც ლობიოს ჭამს.

**დავით თავართქილაძე**

## შვედეთი

### XXII ტური

**იორგრიტე 2:2 მალმიო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 22 | 13 | 3 | 6 | 47:30 | 42 |
| იურგორდენი | 22 | 12 | 4 | 6 | 44:31 | 40 |
| იორგრიტე | 22 | 10 | 8 | 4 | 44:32 | 38 |
| იორებრო | 22 | 8 | 7 | 7 | 27:32 | 31 |
| აიკ | 22 | 7 | 9 | 6 | 31:31 | 30 |
| ჰელსინგბორგი | 22 | 8 | 6 | 8 | 34:37 | 30 |
| სუნდსვალი | 22 | 7 | 8 | 7 | 25:30 | 29 |
| ლანდსკრონა | 22 | 8 | 4 | 10 | 37:33 | 28 |
| ელფსბორგი | 22 | 7 | 6 | 9 | 24:29 | 27 |
| ჰამარბი | 22 | 6 | 8 | 8 | 36:36 | 26 |
| ჰალმსტადი | 22 | 5 | 11 | 6 | 25:26 | 26 |
| ნორჩიოპინგი | 22 | 6 | 7 | 9 | 32:32 | 25 |
| გიოტებორგი | 22 | 7 | 3 | 12 | 24:36 | 24 |
| კალმარი | 22 | 5 | 6 | 11 | 18:33 | 21 |

## უკრაინა

10-11 ტური: არსენალი — დნიპრო 0:3; დინამო — პოლიგრაფტექნიკა 2:0; მ. ზაპოროჟიე — მ. მარიუპოლი 1:1; მეტალისტი — კარპატი 1:0; ვოლინი — ობოლონი 2:1; კრივბასი — ვორსკლა 2:1; ტავრია — ჩერნომორეცი 2:0; შახტარი — მ. დონეცკი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 11 | 9 | 2 | 0 | 20:4 | 29 |
| შახტარი | 11 | 8 | 2 | 1 | 20:10 | 26 |
| არსენალი | 11 | 8 | 1 | 2 | 26:11 | 25 |
| დინამო | 10 | 7 | 2 | 1 | 26:7 | 23 |
| ვოლინი | 11 | 7 | 0 | 4 | 14:15 | 21 |
| მ. დონეცკი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:11 | 20 |
| მ. მარიუპოლი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:12 | 13 |
| მეტალისტი | 11 | 3 | 3 | 5 | 7:14 | 12 |
| კრივბასი | 11 | 2 | 5 | 4 | 9:12 | 11 |
| ტავრია | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | 11 |
| კარპატი | 10 | 2 | 4 | 4 | 8:13 | 10 |
| მ. ზაპოროჟიე | 11 | 2 | 4 | 5 | 8:14 | 10 |
| ობოლონი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:16 | 9 |
| ვორსკლა | 11 | 3 | 0 | 8 | 8:22 | 9 |
| პოლიგრაფტექნიკა | 11 | 1 | 5 | 5 | 8:17 | 8 |
| ჩერნომორეცი | 11 | 1 | 1 | 9 | 5:18 | 4 |

სარბიელი და კროკი
წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
*ორშაბათიდან „დენვერ ნაგიტსმა“ ახალი სეზონისთვის გენერალური მზადება დაიწყო. თუ აქამდე ნიკა ცქიტიშვილი, ნენე ილარიო და „დენვერის“ სხვა ახალბედები ინურებოდნენ ოფლში, 30 სექტემბრიდან ჯეფ ბზდელიკის გუნდმა სრული შემადგენლობით დაიწყო ვარჯიში. ჩვენებურს კი ახალი საქმეც გამოუჩნდა: ნიკა ცქიტიშვილი ყოველი დღის ბოლოს განვლილი დღის ამბებს „დენვერის“ გულშემატკივრებს ინტერნეტის საშუალებით მოუთხრობს. უცნაურია, მაგრამ დენვერელებმა ეს საქმე ამერიკაში სამიოდ თვის ჩასულ ქართველს ანდეს. მაშ ასე, ნიკა ცქიტიშვილის დღიურები...*




### პირველი დღე. ორშაბათი, 30 სექტემბერი

ფიზმომზადების ტესტების ჩაბარება დილის 8 საათიდან დავიწყეთ. ეს ძალიან რთული იყო, მრავალნაირი გამოცდა ჩაგვიტარეს. 15 წუთი გვარბენინეს: ჯერ 3-4 წუთი გასახურებლად, მერე კი 12 წუთი მთელი სისწრაფით. თან სახეზე რაღაცნაირი ნიღაბი ჩამოგვაცვეს, რომელიც მხოლოდ პირს გვიფარავდა. ცხვირით უნდა გვესუნთქა და ეს მართლაც ძნელი იყო. მხედველობის ტესტირება ხომ საშინელება გამოდგა — თვალებში რაღაც სითხე ჩაგვაწვეთეს და ლაზერს გვაყურებინებდნენ. შემდეგ 3 საათი ვერაფერს ვხედავდი, ძალიან შემეშინდა, ეს სიგიჟეს ჰგავდა.

ტესტები ნაშუადღევს დაგვიმთავრდა და პრედრაგ სავოვიჩთან ერთად სასადილოდ წავედი. სპორტულ ცენტრს 4 საათისთვის დავუბრუნდით მედიასთან გასასაუბრებლად. ჟურნალისტებმა სამოსის გამოცვლა არ გვაცალეს და პირდაპირ გასახდელში შემოცვივდნენ. ყველაფერი დრაფტისშემდგომ წუთებს ჰგავდა, ყველა ინტერვიუს მთხოვდა. ბევრი მისვამდა კითხვებს. ვიცი, რომ ეს მათთვის მნიშვნელოვანია და მეც სიამოვნებით ვპასუხობდი.

ვარჯიშები ხვალიდან გვეწყება და მეც მოუთმენლად ველი. ძალიან მინდა, ხაზვალიოდ კარგად მოვემზადო, თუმცა იმისთვისაც მზად ვარ, რომ დღის ბოლოს ვარჯიშების ამბები მოგითხროთ.

### მეორე დღე. სამშაბათი, 1 ოქტომბერი

საწვრთნელი კემპის პირველ დღეს ცუდად არ ჩაუვლია. ბევრი რამ იყო ისეთი, რასაც ამ ზაფხულს ვაკეთებდი. ჩემი შეფასებით, აქამდელი ვარჯიშები უფრო რთული იყო, თუმცა ამ ვარჯიშებს სხვა დადებითი მხარე ჰქონდა — ყველა დენვერელი ერთად ვიყავით და ერთმანეთს უფრო დავუახლოვდით. დილას დაცვაზე მეტი ვიმუშავეთ, ვიდრე შეტევაზე.

დილის ვარჯიშის შემდეგ „პეპსი სენთერის“ ბუფეტში ვისადილე და შინ წავედი დასაძინებლად. დილით ადრე მოგვიწია ადგომამ და ძალების აღდგენა მსურდა. 3 საათი მეძინა და საღამოს ვარჯიშზე მხნედ დავბრუნდი.

დღის მეორე ვარჯიში შედარებით დატვირთული იყო. დილით უფრო ინდივიდუალურად გვავარჯიშეს, საღამოს კი აქცენტი გუნდურ თამაშზე გადაიტანეს. ხუთი ხუთზეც მოგვიწია თამაშმა, რაც ძალიან საინტერესო და სახალისო მეჩვენა.

ახლა ვხვდები, რა დიდი დახმარება გამიწია მთელ ზაფხულს ვარჯიშმა. „დენვერის“ გამოცდილ მოთამაშეებს ფანტასტიკური ფიზიკური გამძლეობა აქვთ, ახალბედები კი აქამდელი განუწყვეტელი ვარჯიშის წყალობით თუ ვუტოლდებით მათ.

უკვე შეღამებულია და ნენე ილარიოსა და პრედრაგ სავოვიჩთან ერთად იტალიურ რესტორანში მივდივარ. ისინი ეზოში მელიან და უნდა გავიდე, თუმცა ხვალინდელზე ისევ მოგწერთ.

## ფრენბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი. არგენტინა ვაჟები. 28 სექტემბერი-13 ოქტომბერი**

# რუსები მაინც გაძვრნენ




REUTERS

იტალიელმა ლუიჯი მასტრანჯელომ კანადელებს ბლომად ურტყა

**არგენტინაში** მიმდინარე ვაჟ ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეებმა პირველი ჯგუფური ეტაპი გადაავორეს. 24-დან 16 ქვეყნის ნაკრებმა მეორე ჯგუფურ ეტაპზე გააღწია, დანარჩენმა რვამ კი სამშობლოსკენ იბრუნა პირი.

პირველი ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტური გუშინ გაიმართა. ისე, ბევრი რამ მანამდეც ცნობილი იყო: არგენტინას, იუგოსლავიას, ჰოლანდიას, პოლონეთს, საფრანგეთს, ბულგარეთსა და პორტუგალიას ჯგუფებში ორჯერვე ემარჯვათ და შემდეგ ეტაპზე თამაშიც განაღდებული ჰქონდათ. ასევე ცნობილი გახლდათ, რომ ყაზახეთი, ხორვატია და ეგვიპტე უშანსოდ იყვნენ და რასაც ინტრიგა ახლდა, ჩვენც იმაზე ვთქვათ.

ჯგუფში პირველ-მეორეზე გასულნი მეორე ჯგუფურ ეტაპზე პირდაპირ ხვდებოდნენ, ხოლო დარჩენილი 4 საგზური ექვსი ჯგუფის მესამეადგილოსანთა შორის ოთხ მოწინავე ნაკრებს ერგებოდა.

ყურადღების ცენტრში რუსები მოექცნენ, რომელთაც ტურნირის პირველი ორი მატჩი წააგეს, ჯერ ბულგარეთთან — 0:3, მერე კი საფრანგეთთან — 1:3.

რუსები საზოგადოდ ფრენბურთის კარგ მოთამაშეებად ითვლებიან, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონები 20 წლის წინ გახდნენ, მაგრამ ამ ზაფხულს მსოფლიოს თასის მოგებით არგენტინაში მედალზე დაგეშილთა სიაში ჩაეწერნენ. რუსეთს ბოლო ტურში მეტოქედ ტუნისი ჰყავდა, თანაც, რაც შეიძლება დიდი სხვაობით უნდა მოეგო, რადგან ჯგუფში მეორეობის არანაირი შანსი აღარ გააჩნდა, მესამეადგილოსნებში კი მინიმუმ ორი გუნდისთვის მაინც უნდა ეჯობნა. სლავებმა იოლად დაჯაბნეს მადრიბელები და მხოლოდ ორს კი არ აჯობეს, მესამეადგილოსანთა შორის სულაც იპირველეს ჩეხებთან ერთად. დანარჩენი ორი ბედნიერი ჩინეთი და იაპონია აღმოჩნდა, პირველმა ავსტრალიას 3:1 მოუგო, მეორე კი იუგოსლავიასთან დამარცხდა, თუმცა პირველ ტურში ყაზახები დაემარცხებინა და ამის წყალობით გააღწია ჯგუფიდან.

პირველ ეტაპს ერთადერთი მოულოდნელობა ახლდა. მუდამ ძლიერ კუბის ნაკრებს მართალია, თაობათა ცვლის პერიოდი უდგას, მაგრამ მისი ჯგუფში ჩარჩენა მაინც უჩვეულო ამბად ჩათვალა საფრენბურთო სამყარომ.

სხვაფრივ, ყველა ბობოლა და მათთან ერთად შედარებით სუსტებიც კვლავ საქმეში არიან. ისინი გუშინვე ოთხ ოთხგუნდა ჯგუფში გადანაწილდნენ და საჩემპიონო რბოლას ხვალიდან განაახლებენ.

**ირაკლი ბერტაია**

| A ჯგუფი | | | | | D ჯგუფი | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 6 | იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 5 | ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 2 | 4 | იაპონია | 3 | 1 | 2 | 4 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 3 | 3 | ყაზახეთი | 3 | 0 | 3 | 3 |
| **B ჯგუფი** | | | | | **E ჯგუფი** | | | | |
| პოლონეთი | 3 | 3 | 0 | 6 | აშშ | 3 | 3 | 0 | 6 |
| იტალია | 3 | 2 | 1 | 5 | ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 5 |
| კანადა | 3 | 1 | 2 | 4 | ვენესუელა | 3 | 1 | 2 | 4 |
| ხორვატია | 3 | 0 | 3 | 3 | ეგვიპტე | 3 | 0 | 3 | 3 |
| **C ჯგუფი** | | | | | **F ჯგუფი** | | | | |
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 6 | ჰოლანდია | 3 | 3 | 0 | 6 |
| ბულგარეთი | 3 | 2 | 1 | 5 | საბერძნეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 4 | ჩეხეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| ტუნისი | 3 | 0 | 3 | 3 | კუბა | 3 | 1 | 2 | 4 |

**მე-2 ჯგუფური ეტაპის პირველი ტური**

| G ჯგუფი | J ჯგუფი |
|---|---|
| იტალია — ბულგარეთი | ბრაზილია — ჩეხეთი |
| არგენტინა — იაპონია | ჰოლანდია — საფრანგეთი |
| **H ჯგუფი** | **K ჯგუფი** |
| პორტუგალია — ესპანეთი | იუგოსლავია — საბერძნეთი |
| პოლონეთი — რუსეთი | ამერიკა — ჩინეთი |

# ქართველებმა ახალი ფრენბურთი მოიგონეს

## ლევან ახვლედიანმა აზიას შანსი მისცა

*ორი წელიც არაა, ლევან ახვლედიანი საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, მაგრამ ამ მოკლე ხანში უკვე საერთაშორისო აღიარებას მიაღწია. ამ დღეებში ბუენოს აირესში ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIVB) კონგრესი მოეწყო, სადაც ლევან ახვლედიანი ფრენბურთის განვითარების კომისიის წევრად აირჩიეს. პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ახვლედიანი ერთადერთია, საერთაშორისო ფედერაციის კომიტეტის სრულუფლებიანი წევრი რომ გახდა. ამასთან, იგი ყველაზე ახალგაზრდაა — 33 წლისაა. არგენტინაში ჩასვლამდე ახვლედიანი ბრაზილიაშიც იყო, სადაც საქართველოში სანაპირო ფრენბურთის განვითარებისთვის პარტნიორები დაიგულა. ამ და კონგრესის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ინტერვიუ ლევან ახვლედიანთან*

— გადავწყვიტე საქართველოში პლაჟის ფრენბურთის განვითარებაზე ვიზრუნო. სამისოდ ვიყავი ბრაზილიაში და შევხდი იქაური ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტ არი გრასას. ბრაზილია იმიტომ ვარჩიე, რომ იქ პლაჟის ფრენბურთი ფეხბურთის შემდეგ მეორე სახეობაა და სპორტის სხვა სახეობები მასთან ახლოსაც ვერ მივლენ. გრასამ თბილად მიმიღო და დახმარებასაც დამპირდა. ლაპარაკია ორი ვაჟი ფრენბურთელის ბრაზილიაში ერთთვიან მივლინებაზე. იქ ქართული წყვილი ბრაზილიელი მწვრთნელების მეთვალყურეობით ივარჯიშებს და პლაჟის ფრენბურთის სპეციფიკას გაითავისებს. პლაჟის ფრენბურთი ოლიმპიური სახეობაა, ამიტომაც გვერდში გვიდგანან საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი და სპორტის დეპარტამენტი. ბრაზილიიდან არგენტინაში გადავინაცვლე, სადაც საერთაშორისო ფედერაციის კონგრესში მივიღე მონაწილეობა. ფედერაციის პრეზიდენტად კვლავაც ავირჩიეთ მექსიკელი რუბენ აკოსტა. ასარჩევი ბევრიც არაფერი იყო. იგი ერთადერთი კანდიდატურა იყო და ხმათა უმრავლესობით გაიხანგრძლივა პრეზიდენტობა. აკოსტა დიდად მარიფათიანი და ჩალიჩა კაცია. პირველად რომ გახდა პრეზიდენტი, ფედერაციის ბიუჯეტი სულ რაღაც ასი ათასი დოლარი იყო, ახლა ორას მილიონს აჭარბებს. აკოსტამ იმდენი ქნა, კოფი ანანს გაეროს ქვეკომიტეტი შააქმნევინა — „სპორტი და მშვიდობა“ და მის კურატორად ახლო მეგობარი და შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი ჟული ოგა დაანიშნინა. აკოსტა გაეროს მეშვეობითაც აპირებს ფრენბურთის კიდევ უფრო პოპულარიზაციას. მე კი, როგორც საერთაშორისო ფედერაციის კომისიის წევრი, ამით ვისარგებლებ და საქართველოსთვის რამეს გავაკეთებ. სხვათა შორის, პლაჟის ფრენბურთი ოლიმპიური სახეობა რომ გახდა, ეს აკოსტას ცოლის, მალუ აკოსტას დამსახურებაა.

— ცოლი რა შუაშია?

— საქმე ისაა, რომ ვიდრე ხუან ანტონიო სამარანჩი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იყო, მალუ მას დაუმეგობრდა და იქამდე არ მოეშვა, სანამ პლაჟის ფრენბურთი ოლიმპიურ სახეობებში არ მიაღებინა. მალუ ქმრის მარჯვენა ხელია და ფედერაციას არაოფიციალურად განაგებს. მისი სიტყვა კანონია.

— ფედერაციის კომისიის წევრად თქვენი არჩევა როგორ მოხდა?

— ამას ნამდვილად არ ველოდი. ფედერაციაში კონსერვატიული კანონებია. სანამ ვინმე არ მოკვდება, მის პოსტზე ახალს არავის დანიშნავენ. კომისიაში ჩემს შეყვანას 177 დელეგატიდან ყველამ მხარი დაუჭირა. ალბათ, ხედავენ, რომ ვმუშაობ. ახლაც ჩემი ახალი პროექტები გავაცანი კონგრესის წევრებს, რომლებიც ძალიან მოეწონათ და მალე განხორციელდება.

— რა პროექტებზეა ლაპარაკი?

— ფრენბურთის ახალი მიმდინარეობის დაარსება მინდა. ჩემი პროექტით დაარსდება ცალკე ლიგა, სადაც სიმაღლის ლიმიტი ვაჟებში 185, ხოლო გოგონებში 175 სანტიმეტრი იქნება. ამ შემთხვევაში გუნდები თანაბარ პირობებში იქნებიან. პროექტი მოიწონეს ტაილანდელებმა, იაპონელებმა და სხვა აზიური ქვეყნებმა. განსაკუთრებით ინდონეზიამ აიტაცა წამოწყება და სურვილი გამოთქვა, ფრენბურთის ამ მიმდინარეობაში პირველ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლოს. ჩემი ოცნებაა, ინდონეზიის ფედერაციას მოველაპარაკო და ფრენბურთის ამ სახეობაში პირველ ოფიციალურ მატჩში მათ ნაკრებს ვეთამაშოთ. ამით მაინც შევალთ ფრენბურთის ისტორიაში. კიდევ მაქვს ერთი პროექტი, კერძოდ 21-წლამდე გოგონათა 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა. ვინაიდან ხარჯებს მარტო ვერ გავწვდებით, აზერბაიჯანის ფედერაცია შევიამხანაგე და ამ ტურნირის საზიარო მასპინძლობის სურვილი გამოვთქვით. იდეა ძალიან მოეწონათ და შეგვპირდნენ, რომ ამ საკითხს აუცილებლად განიხილავენ. ადვილი მოსალოდნელია, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ გადაწყდეს და თბილისში დიდი ფრენბურთიც გვეწვიოს.

**ბაჩო სვანიძე**



რუბენ აკოსტა და ლევან ახვლედიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემია, კრემლი შენია

## ჩანგი მიჩაქჩაქებს

**კრემლის თასი**
მოსკოვი. ხალიჩა
საპრიზო 2,224 მილიონი $

**პირველი წრე**
**ვაჟები**

**ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი)** — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 4:6, 6:3, 7:6 (7:4); **რაინერ შუტლერი (გერმანია)** — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 7:6 (8:6), 6:4; **სჯენგ შალკენი (ჰოლანდია)** — მარკ როსე (შვეიცარია) 3:6, 6:3, 6:4; **ანდრე სა (ბრაზილია)** — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 3:6, 7:5, 6:4; **იონას ბიორკმანი (შვედეთი)** — მაქს მირნი (ბელარუსი) 4:6, 7:5, 6:2; **უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა)** — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 7:6 (10:8), 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)** — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:4, 6:3; **პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)** — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:7 (4:7), 7:5, 6:2; **სირილ სოლნიე (საფრანგეთი)** — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:4, 6:4; **ნიკოლას კიფერი (გერმანია)** — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:1, 6:4

**ქალები**

**დინარა საფინა (რუსეთი)** — სილვია ფარინა ელია (8, იტალია) 0:6, 7:6 (7:4), 6:4; **ელენა ბოვინა (რუსეთი)** — ვერა ზვონარევა (რუსეთი) 2:6, 7:6 (7:1), 6:3; **ანა კურნიკოვა (რუსეთი)** — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:4, 6:3; **ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)** — ლიბუშე პრუსოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:4; **ნატალი დეში (საფრანგეთი)** — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 3:6, 6:3, 6:4

ტურნირზე თავისი ზედიზედ 26-ე (!) გამარჯვების მისათვლელად ევგენი კაფელნიკოვს იმ დღეს 2 საათი და 42 წუთი დასჭირდა. ბელარუსმა ვლადიმირ ვოლჩკოვმა, რომელმაც სახელი ორი წლის წინ უიმბლდონის ნახევარფინალში სენსაციური გასვლით დაიგდო და, რომელსაც კაფელნიკოვმა ამ ორნახევარი კვირის წინ ტაშკენტში, პრეზიდენტის თასის ფინალში აჯობა, სკვითთა მთავარჯილას შეუპოვარი ბრძოლა გაუმართა. მატჩის ბედი გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე გაირკვა, სადაც უფრო დამაჯერებლად მაინც უფრო გამოცდილმა იჩოგნავა.

თავში კაფელნიკოვის „26-ე ზედიზედი გამარჯვება“ ვახსენეთ და, თუკი ვინმეს არ ახსოვს, საგანგებოდ მათთვის მოვიგონოთ, რომ 28 წლის სოჭელს წინა ხუთი წლის განმავლობაში საკრემლო ხალიჩაზე ბადალი არა ჰყოლია და 25-მოგებიანი სერიაც ასე მოუქუჩდა. ეს კი — სხვათა შორის — იმასაც ნიშნავს, რომ კაფელნიკოვს წლეულს ჩინებული შანსი აქვს, პირველი მჩოგნე გახდეს ღია პირველობათა ერაში, ანუ 1968 წლიდან, ვისაც კი ესა თუ ის ტურნირი ზედიზედ ექვსჯერ გაუპარტახებია. მოსკოვში ის 1996 წლის ფინალის შემდეგ არ დამარცხებულა. მაშინ მას ხორვატმა გორან ივანიშევიჩმა სძლია. სულ კი კაფელნიკოვს იქ (1992 წლიდან) 42 მატჩი გაუმართავს და ოდენ 5 მარცხის წილ 37 გამარჯვებას მოიძევს.

კაფელნიკოვი: „ამ მატჩის წაგება არაფრით შეიძლებოდა. ამიტომაც გამოდგა ის ასეთი დაძაბული და ემოციური. ჩვენ ტაშკენტშიც თანაბრად ვითამაშეთ, ასე რომ, მან იცოდა, თუკი იბრძოლებდა, ეგებ რამეს გამომრჩენოდა კიდეც- თქვენ გაინტერესებთ ჩვენი და ფრანგების სამომავლო დევისფინალზე რას ვფიქრობ? შესანიშნავია, რომ მათ საამმატჩოდ თიხნარი არჩიეს. უკეთეს არჩევანს ვერც ჩვენ წარმოვიდგენდით. ვფიქრობ, რომ ამ საფარზე ჩვენ უფრო ძლიერები ვართ“.

ახლა დანარჩენ შეხვედრებს რაც შეეხება.

ყველაზე მოულოდნელი შედეგით გერმანელი რაინერ შუტლერისა და უიმბლდონის წლევანდელი ფინალისტის, აქ მერვე ნომრად განთესილი დავიდ ნალბანდიანის მძაფრი შეხლა დასრულდა. გერმანელმა იმარჯვა და როგორც ნამატჩევს ახსნა, მას თურმე ჭერქვეშ თამაში ნაყვარება. ყველაფერი აქეთ-იქით მოყანყალე პირველი სეტის ჩემს მიერ ყისმათიანად მოგებამ გადაწყვიტაო, დასძენდა მერე.

ასევე მოულოდნელი ალბათ არ ეთქმოდა, მაგრამ ტურნირის 1993-94 წლებში გამარჯვებულის, ამაგდარი შვეიცარიელის მარკ როსეს გავარდნამ კი გული ყველას დასწყვიტა. როსე თავის ზედიზედ მე-13 კრემლიანობაზე ჩასულიყო და იმედი ჰქონდა, რომ ერთი ორ წრეს მაინც გაივლიდა, მაგრამ ვერ მოერია. არადა, იქაურ ხალიჩაზე მას ჯამში 41 მატჩი გაუმართავს და აქედან 30 გამარჯვებით დაუსრულებია.

ზედიზედ მეორეჯერ პირველივე წრიდან დაითხოვეს იტალიელი დავიდე სანგვინეტი, ვინაც წლეულს 9-წლიანი კარიერის საუკეთესო სეზონს თამაშობს. წლეულს მან (მილანსა და დელრი ბიჩში) თავისი პირველი ტიტულები მოითვალა, თუმცა უეცრად მოძალებული ტრავმის გამო მერე ნელ-ნელა მინავლდა და ზედიზედ 14 ტურნირის განმავლობაში მეორე წრეს ვეღარ გასცილდა. ნავსი შეჭალარავებულმა აპენინელმა ტაშკენტში დაარღვია, სადაც ნახევარფინალამდე იბორგა, მაგრამ —თავადაც ხედავთ — მოსკოვური სეირნობა ისევ უღბლო გამოუვიდა. დავიდე ძირითად ბადეში კვალიფიკაციებიდან გამომტყვრალმა უსახელო ფრანგმა სირილ სოლნიემ აოტა.

ქალთა მხარეზე კი უმთავრესი წყალი თვალს რუსმა გოგონებმა დაალევინეს. მარატ საფინის 16 წლის დაიკო დინარამ გამოცდილი და ტურნირზე მერვე ჩოგნის მჭნეველი სილვია ფარინა ელია დაიმორჩილა, ანა კურნიკოვა შვეიცარიელ მიქაელიანს მოერია, ხოლო ოყლაყი ელენა ბოვინასა და ფუმფულა ვერა ზვონარევას შიდასკვითური განდაგანა 1,89-მეტრიანი ბოვინას გამარჯვებით დასრულდა.

ყველაზე მეტი ყურადღება, კამერა და დიქტოფონი ნამატჩევს, ცხადია, ანა კურნიკოვას ეთმობოდა. ისიც ჩვეულებისამებრ, გაღიმებულიყო და ხალისიან-ფშუტურად ქლურტულებდა:

„ჭერქვეშა სეზონისთვის ერთი თვის განმავლობაში ვემზადე და ძალიან ნაამები ვარ, პირველივე მატჩში ამ მომზადების შედეგი რომ დავინახე. ვფიქრობ, ჩემს თამაშს ცოტა სტაბილურობა აკლია, თუმცა დღეს საკმაოდ რიგიანად ვითამაშე და არა მგონია, ბევრის მომატება მჭირდებოდეს... ყველამ იცის, რომ მე კარგად თამაში შემიძლია და რომ რეიტინგსიაში ჩემი დაქვეითება მხოლოდ ტრავმის გამო მოხდა. ძნელია, როცა კორტს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უბრუნდები“.

**იაპონიის ღია პირველობა**
ტოკიო. ჰარდი
საპრიზო 970 ათასი $

**ვაჟები**
**პირველი წრე**

**აგუსტინ კალერი (12, არგენტინა)** — ალექს კიმი (აშშ) 6:4, 6:4; **უეინ ართურსი (13, ავსტრალია)** — ჟულიან ნოული (ავსტრია) 2:6, 6:3, 6:2; **ნიკოლას მასუ (14, ჩილე)** — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 5:7, 6:3, 6:2; **ტომას ბლეიკი (აშშ)** — დავიდ ფერერი (15, ესპანეთი) 4:6, 7:5, 7:5

**მეორე წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია)** — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:2, 6:2; **ალექსანდრ ვასკე (გერმანია)** — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 6:4, 7:5; **კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი)** — ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) 3:6, 6:3, 7:6 (7:4); **მაგნუს ლარსონი (შვედეთი)** — ნიკოლას ლაპენტი (7, ეკვადორი) 7:5, 6:2; **ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი)** — აგუსტინ კალერი (12, არგენტინა) 6:3, 6:2; **ნიკოლას მასუ (14, ჩილე)** — ჯეფ მორისონი (აშშ) 7:6 (9:7), 4:6, 6:1; **ანტონი დიუპუი (საფრანგეთი)** — უეინ ართურსი (13, ავსტრალია) 7:6 (7:5), 7:6 (8:6)

**ქალები**

**არანჩა სანჩეს-ვიკარიო (3, ესპანეთი)** — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:3, 6:2; **ემანუელ გალიარდი (4, შვეიცარია)** — მარია შარაპოვა (რუსეთი) 2:6, 7:6 (7:4), 6:4; **იუკა იოშიდა (იაპონია)** — კარა ბლეკი (5, ზიმბაბვე) 6:2, 6:1

ესეც ასე — მაიკლ ჩანგს ტოკიოდანაც აბარგებინეს. ამის გაკეთება, არც მეტი, არც ნაკლები, კაცთა ამქრის უსტაბაშმა, ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა, წლევანდელმა მეუიმბლდონემ და აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში ანდრე აგასისთან დამარცხების შემდეგ უთამაშებელმა* ლეიტონ ჰიუიტმა იკისრა. 30 წლის ოდინდელი მეროლანგაროსის დამორჩილებას მან საათზე ნაკლები დრო მოანდომა.

„მატჩის მსვლელობისას ვგრძნობდი, რომ სულ უფრო და უფრო უკეთ ვთამაშობდი“ — იკვეხნიდა მერე ოზბიჭი.

მას ჩია ჩანგიც ეთანხმებოდა. „როცა ის ასე დიდებულად თამაშობს, ერთადერთი, რაც დაგრჩენია, ქუდი მოიხადო და თავი დაუკრა“.

თუმცა ჰიუიტზე მეტი ქუდი იმ დღეს მაინც მას მოუხადეს. როცა ამაგდარი აზიოამერიკელი კორტიდან გადიოდა, მილეთი ფეხზე წამოიშალა და მასთან უკანასკნელად ნაჩოგნავები ლეგენდა ჰ ალალი ტაშითა და ფანდურით გააცილა...

„იაპონიასთან აურაცხელი საამო მოგონება მაკავშირებს. ხალხიცა და მთელი ქვეყანაც ჩემს მიმართ ყოველთვის ისეთ დაუფარავ სიმპათიას გამოხატავდა, რომ არ შემიძლია, აქედან წასვლის წინ მათ ჩემი გამორჩეული მადლობა არ მოვახსენო“ — თქვა ჩანგმა.

ჰიუიტის აღიარებით, მრავალი თვალსაზრისით ჩანგი მისთვის სანიმუშო მოთამაშე იყო. კორტზე ცქაფი გადაადგილებისა და მენტალური სიმყარის აუცილებლობა მან სწორედ მისი თამაშების ცქერისას შეიცნო.

„და რა უიღბლობაა, რომ ასეთი დიადი მჩოგნე არასოდეს მდგარა რეიტინგსიის სათავეში“ — დასძინა ოზიმ...

სხვაფრივ — იმ დღეს ტურნირმა კიდევ ორი სახელიანი მოთამაშე მოისაკლისა. მესამე და მეოთხე ნომრებად განთესილი მეჩოგნეები — კარლოს მოია და ალექს კორეჩა, შესაბამისად, გერმანელმა ალექსანდრ ვასკემ და სლოვაკმა კაროლ კუჩერამ გააბუნძურეს. ლეიტონის ერთადერთ მოცილედ ესპანელებს ხუან კარლოს ფერეროლა (2) დაურჩათ.

**ლევან ბელაშვილი**



ევგენი კაფელნიკოვი საჩვენებლად წითელ მოედანზეც ახოგნავს



დასვენებულზე ლეიტონ ჰიუიტი ტოკიოში გამოჩნდა



ანა კურნიკოვა მოსკოვს ებრანება

# უკვდავი სული



სპიროს სამარასი



ათენი. 1896 წელი. ჰიმნის შემსრულებლები პირველი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე

**მთელს მსოფლიოში** ცნობილი ოლიმპიური ჰიმნიდან „ანტიკურობის უკვდავი სული" იღვრება. სწორედ ამ ფრაზით მთავრდება ბერძენი კოსტის პალამასის პოეტური თხზულება, რომელიც 1896 წელს დაიწერა. იმავე წელს აღორძინდა ანტიკური ოლიმპიური თამაშები და სპიროს სამარას მუსიკალური კომპოზიციაც მისი საზეიმო გახსნის ცერემონიალზე აჟღერდა.

ეს მოხდა ათენის აღორძინებულ ანტიკურ მარმარილოს სტადიონზე, სადაც ოლიმპიური ჰიმნი კომპოზიტორის დირიჟორობითვე შესრულდა. ჰიმნი 250-კაციანმა ორკესტრმა, აგრეთვე ქვეითი ჯარისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის სასულე გუნდებმა შეასრულეს. აღფრთოვანებული მსმენელ-მაყურებელი, ჩვეულებრივი მოკვდავიც, დიდგვაროვანიცა და თვით საბერძნეთის მეფეც დიდხანს უკრავდნენ ტაშს და ჰიმნის გამეორებას ითხოვდნენ. და მოხდა უპრეცედენტო რამ, ოლიმპიური ჰიმნი მეორედ დაუკრეს!

არადა, ეს ჰიმნი ოლიმპიურად სულაც არ იყო ჩაფიქრებული. პალამასმა იგი მიუძღვნა საბერძნეთის უფლისწულ კონსტანტინეს, რომელიც მერე მეფედ აკურთხეს. ყოველივე ამაში იყო რაღაც სიმბოლური დამთხვევა — პირველი ოლიმპიური თამაშები ხომ უფლისწულის მონდომებითაც ჩატარდა, რასაც საბერძნეთის პრემიერმინისტრი ეწინააღმდეგებოდა. სწორედ პრინცმა კონსტანტინემ იხსნა პირველი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი. მეტიც, ამ ორგანიზაციას სწორედ იგი ჩაუდგა სათავეში. მისი მოწოდებით უცხოეთში მცხოვრებმა ბერძნებმა ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს შემოწირულობის სახით 332 000 დრაჰმა გადასცეს, მერე კი მთავრობამ ეს ორგანიზაცია ბეგარისგანაც გაათავისუფლა.

ასე იყო თუ ისე, მისადმი მიძღვნილი დიდებული ჰიმნი უფლისწულმაც დაიმსახურა და თავად ოლიმპიურმა თამაშებმაც.

ეს ჰიმნი სხვადასხვა ვერსიით სრულდება — დიდ ორკესტრთან, სასულე ანსამბლთან, მომღერალთა გუნდთან და მარტივ ინსტრუმენტულ ჯგუფთან ერთად. ეს ნაწარმოები კლასიკურ შუა ნაწილში დრამატულად მოუწოდებს „სამართლიანობის მამას, მშვენიერს და კარგს", რათა ციდან დაეშვას დედამიწაზე და თავის სამწყსოზე იზრუნოს.

ეტყობა, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი პიერ დე კუბერტენი პალამასის პოემის ასეთმა კეთილშობილურმა სულმაც მოხიბლა და მისი თხოვნით სპიროს სამარასმა ოლიმპიური ჰიმნისთვის კომპოზიცია დაწერა.

სამარასიც და პალამასიც XIX საუკუნის უმნიშვნელოვანეს ბერძენ შემოქმედთა შორის არიან.

კოსტის პალამასი (1859-1943) ახალი საბერძნეთის ეროვნული პოეტი იყო. მან სახელი გაითქვა ათენისადმი მიძღვნილი ჰიმნითა და სხვა პოეტური თხზულებებით („ჩემი სულის გამოძახილი", „სატირული ეტიუდები", „სონეტები"...). პალამასი გახლდათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტის, ასევე თავისი თანამემამულე პოეტის დემეტრიუს ვიკელესის მეგობარი.

კომპოზიტორი სპირიდონ-ფილისკოსი (სპიროს) სამარასი თუ სამარა, როგორც მის საფლავის ქვაზე წერია, 1863 წლის 29 ნოემბერს დაიბადა კორფუში, 1917 წლის 7 აპრილს კი ათენში გარდაიცვალა. იგი ათენში ენრიკო სტანკაბიანოს, პარიზის კონსერვატორიაში კი ლეო დელიბეს ხელმძღვანელობით სწავლობდა. მან ახალგაზრდობაშივე გაითქვა სახელი, როგორც ნიჭიერმა კომპოზიტორმა. სპიროს სამარასს ადარებდნენ მასკანის, პუჩინისა და ლეონკავალოს. მან თავისი თერთმეტი ოპერიდან პირველი 20 წლისამ დაწერა, გრანდიოზული წარმატება კი 23 წლის კომპოზიტორს მოუტანა პარიზში დადგმულმა FLORA MIRABILIS-მა, რომელსაც თავადვე უდირიჟორა.

აღტაცებული მაყურებელი მას ტაშს უკრავდა იტალიაშიც. ერთ-ერთი მუსიკალური ენციკლოპედია სამარასს ახასიათებს როგორც ლონიენის სკოლის წევრსა და იმ კომპოზიტორს, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამ აღიარების დასტური იყო ოვაციები და ის პრემიებიც, რომლებიც 1906 წელს გენუასა და ფლორენციაში დაიმსახურა.

სამწუხაროდ, ახლა მისი ოპერები, აღარ იდგმება და დავიწყებულია. ოლონდაც, არა იმიტომ, რომ ამ კომპოზიტორის ნაწარმოებებმა დროს ვეღარ გაუძლეს, არამედ უბედობის გამო. საქმე ისაა, რომ 1943 წელს დაიბომბა, დაინგრა და დაიწვა მილანის მუსიკალური საგამომცემლო სახლი, სადაც მისი ოპერების პარტიტურები ინახებოდა. 15 წლის შემდეგ სრულიად მოულოდნელად ბულგარეთის ჩამწერმა სტუდიამ CD ბავარიაში აღმოაჩინა სამარასის LABIONDINETIN ETTANT-ის პარტიტურა. ეს იყო თავად კომპოზიტორის ხელით დაწერილი ერთადერთი ფურცელი, რომელიც მერე საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა შეიძინა. თუმცა, ეს ჰიმნი 1958 წლამდე ოფიციალურად მაინც არ აჟღერებულა. და საერთოდ, მსოფლიოს სპორტსმენთა ამ უდიდეს ფორუმზე იგი 1912 წლიდან მოყოლებული აღარ დაუკრავთ. ამ წლიდან ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქთან ერთად იცვლებოდა ჰიმნიც და მისი ავტორ-კომპოზიტორიც. 1912 წლის სტოკჰოლმის თამაშებისთვის შვედმა ალექსანდერსონმა დაწერა ოლიმპიური ტრიუმფალური მარში, რაც ამ ასპარეზობის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე აჟღერდა. 1916 წლის ოლიმპიური თამაშები პირველი მსოფლიო ომის გამო არ გამართულა, მომდევნო, 1920 წლის ანტვერპენის ასპარეზობაზე კი საგანგებოდ მისთვის შექმნილი პიერ ბენოტის ჰიმნი გაისმა. 1924 წლის ლოს ანჯელესის თამაშებზე ახლა უკვე ამერიკელი ბრედლი კილერის ჰიმნი დაუკრეს.

ამის მერე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იმედოვნებდა, რომ ბრედლი კილერის კომპოზიციას 1936 წლის ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზეც შეასრულებდნენ და იგი საერთოდ ოლიმპიურ ჰიმნად დამკვიდრდებოდა, მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ



მელბურნი. 1956 წელი. მუსიკოსები XVI ოლიმპიური თამაშების გახსნაზე



კვეროთხისმტვირთველი სიდნეის თამაშებზე

ავთანდილ გურასპიშვილის ფოტო

გერმანელები. როგორც ამ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთ ოფიციალურ მოხსენებაში იყო ნათქვამი, „მუსიკის მექაში" კომპოზიტორთა ფართო არჩევანი გვაქვს და ჩვენივე ავტორის ჰიმნს დავუკრავთო. ამ აზრს იზიარებდა გერმანელთა ფრიად ავტორიტეტული კომპოზიტორი და დირიჟორი რიჰარდ შტრაუსი (1864-1949), რომელიც მსოფლიოს მრავალ ორკესტრთან მუშაობდა და მისი ოპერებიც დიდ წარმატებებს იმკიდა. მან ჰიმნის ტექსტის გაცნობისა და მუსიკის დაწერის თაობაზე მზადყოფნა გამოთქვა. მისი ავტორიტეტის წინაშე სოკ-მა უკან დაიხია და ბერლინის ოლიმპიური თამაშებისთვის ჰიმნის პრობლემების მოგვარების საქმე გერმანელებს მიანდო.

თავდაპირველად გერმანიის პოეზიის აკადემიის პრეზიდენტმა ვილჰელმ ფონ შოლტცმა ოლიმპიური ჰიმნისთვის წარმოადგინა საკუთარი „გერმანული ოდა". იგი ზიგფრიდის ბრძოლებს ეძღვნებოდა, მაგრამ ბერლინის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური მოხსენება ამ ოდის მიმართ მკვეთრად კრიტიკული აღმოჩნდა. ითქვა, რომ იგი წმინდა წყლის გერმანული მოვლენაა და საერთაშორისო ინტერნაციონალური თამაშების პრინციპებს ვერ პასუხობსო. ამ შეფასებას მოჰყვა კონკურსი, რომელშიც 3000 კაცი ჩაება. მათგან 50 თხზულება შეარჩიეს. ბოლოს იმ ხუთი ათეულიდან ოთხი შეარჩიეს და რიჰარდ შტრაუსს წარუდგინეს, მან კი უცნობი, ვინმე რობერტ ლუბანის ტექსტი მოიწონა. ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გაგზავნილმა პრემიამ, 1000 გერმანულმა მარკამ გამარჯვებულს, როგორც იტყვიან, სულზე მიუსწრო, რადგან რობერტ ლუბანი უმუშევარი და უსახსრო იყო. მისი ნამუშევარი მოიწონა ჟიურის თავმჯდომარემ, ბორის ფრაიერ ფონ მიენჰაუზენმა. მან შეაქო ლუბანის პოემის შინაარსი და პოეტური ფორმაც.

1936 წლის თებერვალში სოკ-მა ერთსულოვნად მიიღო შტრაუსის მუსიკალური კომპოზიცია, აგვისტოს ოლიმპიურ თამაშების გახსნის ცერემონიალზე კი მან, სამარასის მსგავსად, თავადვე უდირიჟორა თავის ჰიმნს.

და მაინც, ოლიმპიურ ჰიმნად დამკვიდრება არც შტრაუსის ამ ნაწარმოებს ეწერა ბედად.

1954 წელს სოკ-მა კვლავ გამოაცხადა კონკურსი ოლიმპიური ჰიმნისთვის, რომლის ხანგრძლივობა არა უმეტეს სამი წუთით უნდა შემოფარგლულიყო. იგი უნდა შექმნილიყო ანტიკური ხანის სახელგანთქმული პოეტ-ლირიკოსის პინდარეს „ეპინიკიას" მიხედვით, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულთ ეძღვნებოდა. კონკურსში გამარჯვებულისთვის მონაკოს პრინცმა პიერმა 1000 დოლარი, სოკ-მა კი სამახსოვრო მედალი დააწესა. საკონკურსოდ ჟიურიმ 39 ქვეყნიდან გამოგზავნილი 387 ნაწარმოები მიიღო, მათ შორის გამორჩენილი კომპოზიტორებისაც. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა პოლონელი პოლ მიხალ სპივაკის ნაწარმოებმა. მისი პრეზენტაცია მონტე კარლოში გაიმართა, ხოლო როგორც ოფიციალური ოლიმპიური ჰიმნი სორბონში, სოკ-ის 1955 წლის სესიაზე აჟღერდა. იმავე წელს ბარსელონაში, ხმელთაშუაზღვის ქვეყნების თამაშების გახსნაზე დაუკრეს. მომდევნო წელს სპივაკის ჰიმნი შესრულდა კორტინა დამპეცოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების პროგრამით სტოკჰოლმში გამართულ ცხენოსანთა ასპარეზობაზე და თავად მელბურნის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე. მელბურნში ჰიმნი ოთხმა ორკესტრმა და 1200 მომღერალმა შეასრულა.

სპივაკი თავისი ნაწარმოების ყოველ აჟღერებაზე დიდ თანხას ითხოვდა. ამიტომ სოკ-მა მასთან თანამშრომლობა შეწყვიტა, 1958 წელს კი ტოკიოში გამართულ თავის სესიაზე გადაწყვიტა სამარასისა და პალამასის ღვთაებრივ ჰიმნს დაბრუნებოდა. დანიის პრინცის აქსელის ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და მას მერე ოლიმპიურ თამაშებზე 1896 წელს შექმნილი ოლიმპიური ჰიმნი გაისმის. იგი 2 წუთსა და 38 წამს გრძელდება. 1983 წელს შეიქმნა ჰიმნის მოკლე - 63-წამიანი ვარიანტიც.

და კვლავ იღვრება „ანტიკურობის უკვდავი სული"...

**ავთანდილ გურასპიშვილი**



სიდნეი. 2000 წელი. და კვლავ იღვრება „ანტიკურობის უკვდავი სული"...

ავთანდილ გურასპიშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოულოდნელი კაპიტანი იმედიანი პროგნოზით

## რუსების საზომი ირლანდიასთან მეორე ტაიმია თუ მოვიგებთ, ინტელექტით და კულტურით

*მოსახდენი მოხდა: საქართველოს ნაკრებმა დუბლინში ირლანდიასთან 14:63 წააგო. ამ შეხვედრაში ბორჯღალოსნებს ახალი კაპიტანი ჰყავდათ — 25 წლის ილია ზედგინიძე. იგი ნაკრების რიგით მე-11 კაპიტანია. ზედგინიძემ ოთხი წლის წინ იმავ ირლანდიასთან 0:70 წაგებულ მატჩშიც ითამაშა, ამდენად ორმაგად საინტერესო უნდა იყოს მასთან ინტერვიუ. „როვიგოს" მორკინალს გუშინ იტალიაში შევეხმიანეთ. ირლანდიასთან დიდი სხვაობით მარცხმა ვერ გაგვტეხა, რუსეთთან მატჩისთვის გაორმაგებული შემართებით ვემზადებითო — გვითხრა ბორჯღალოსანთა ახალმა წინამძღოლმა. დანარჩენს ინტერვიუდან შეიტყობთ*

**— ცოტა მოულოდნელი იყო კაპიტნად შენი არჩევა...**

— კაპიტნად კლოდ სორელმა წარმადგინა და არც ბიჭებს ჰქონდათ საწინააღმდეგო. სიმართლე გითხრათ, ამას არ ველოდი. გუნდში ხომ ჩემზე ასაკოვანი და გამოცდილი მორაგბეები არიან. ბოლო წლებია, კაპიტანს რატომღაც სორელი ნიშნავს. ბოლოს, სწორედ ირლანდიასთან, ოთხი წლის წინ გვყავდა ჩვენი არჩეული კაპიტანი. მაშინ ზურაბ მჭედლიშვილს ვენდეთ. ვიცი, ახლა ორმაგი პასუხისმგებლობა მაკისრია, ნაკრების კაპიტნობა ბევრს ნიშნავს. უხერხულობას კი ვგრძნობ, ლევან ცაბაძის, მევლუდ მთიულიშვილის, ვანო ნადირაძისა და ვიქტორ დიდებულიძისნაირ ავტორიტეტებს რომ ვკაპიტნობ, მაგრამ რახან მენდნენ, არ უნდა დავალალატო.

**— ირლანდიასთან ხომ დიდებულიძე უნდა ყოფილიყო კაპიტანი...**

— თავიდან ასე იყო, მაგრამ მატჩამდე სორელმა გადაწყვიტა, გუნდის კაპიტანი მე ვყოფილიყავი. წინააღმდეგი არავინ ყოფილა.

**— ოთხი წლის წინ ირლანდიასთან 0:70 წააგეთ, ახლა სხვაობა გაცილებით ნაკლები იყო. მაშინდელი და ახლანდელი შეხვედრები რომ შეადარო, ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხში რა განსხვავებაა?**

— როგორც ცა და მიწა, ისე განსხვავდება ეს ორი მატჩი ერთმანეთისგან. ახლა გაცილებით უკეთ ვითამაშეთ და ეს ანგარიშშიც აისახა. ბოლო მატჩი შეიძლება ტაიმებად დავყოთ. პირველი ნახევარი ჩვენთვის კატასტროფულად დასრულდა, არაფერი გამოგვივიდა. ბურთი სულ ირლანდიელებს ჰქონდათ, მეტწილად დაცვაში ვიდექით და ვერც იქ ავეწყვეთ. საერთოდ, ბოლო რამდენიმე მატჩია, პირველ ტაიმში ვსუსტობთ. მეორე გაცილებით უკეთ ვითამაშეთ. შეტევაში ფაზები გადავაბით, დაცვაშიც შევმჭიდროვდით და მეორე ნახევარი 14:21 წავაგეთ. ეგებ ვინმემ თქვას, ირლანდიელებმა თავი აღარ მოიკლეს და მოეშვნენო, მაგრამ არ იქნება მართალი. მეტოქემ მეორე ტაიმში ისევე ითამაშა, როგორც პირველში. თანაც ირლანდია დიდი გუნდია და სამასით ნულს რომ გიგებდეს, ხუთასით ნულზე იფიქრებს. ისინი პროფესიონალები არიან, სულ სხვა დონეა.

**— წელან თქვი, ბოლო რამდენიმე მატჩია, პირველ ტაიმში მოვისუსტებთო. მიზეზი?**

— დრო გვჭირდება, ჩვენი თამაში რომ ვიპოვოთ. კონკრეტულად ირლანდიასთან კი კონცენტრირება ვერ შევძელით. ირლანდიას ვეთამაშებოდით და რუსეთზე ვფიქრობდით. თავში სულ რუსეთთან მატჩი, მთავარი ჯახი გვიტრიალებს. ალბათ, ამიტომ ვერ შევძელით მობილიზება და ამიტომაც წავაგეთ პირწმინდად.

**— ირლანდიასთან როგორც ითამაშეთ, საკმარისი იქნება რუსეთის დასამარცხებლად?**

— ალბათ, ოღონდ პირველი ტაიმი არ უნდა ჩავთვალოთ. რაც ჩვენ ირლანდიასთან მეორე ტაიმში გავაკეთეთ, იმას რუსები ვერ შეძლებენ. უბრალოდ, სარაგბო კულტურა და ცოდნა არ ეყოფათ. ვთვლი, რომ ამ მხრივ მათზე წინ ვართ. 13 ოქტომბერს სწორედ ინტელექტი იქნება გამარჯვების წინაპირობა და აგრეთვე თავდადება.

**— ირლანდიასთან მატჩში ხარვეზები გამოჩნდებოდა. უფრო რომელ რგოლში გიჭირთ?**

— დაცვაში შეთანხმებული მოქმედება და აგრესია გვაკლია. ამასთან, ძალიან ბევრი აუტი დავთმეთ. ექვსჯერ მეტოქის ნახევარზე წავაგეთ ჩვენი დერეფანი და შეტევა ველარ წამოვიწყეთ. განსაკუთრებით აუტებზე მოგვიწევს ვარჯიში. შეტევაში პრობლემები ნაკლებად გვაქვს.

**— აუტისას სუსტი თამაში ალბათ გია ლაბაძის არყოფნამაც განაპირობა...**

— ცხადია, გია დიდი ძალაა, მაგრამ ისიც რომ ყოფილიყო, ბევრიც არაფერი შეიცვლებოდა, ირლანდიელები მაინც გვაჯობებდნენ. მთავარია, „ლაბო" სარუსეთოდ მომჯობინდეს.

**— ირლანდიასთან დავით ბოლღაშვილი დაშავდა... ახლა როგორ არის?**

— ბოლღაშვილმა მხრის ტრავმა მიიღო. ძალიან სტკიოდა. შესაძლოა, ბიცეფსის კუნთი ჰქონდეს გაწყვეტილი. თუ ასეა, მაშინ ოპერაცია დასჭირდება და სამი თვე ვერ ითამაშებს. ბოლღაშვილის ტრავმა ერთადერთია, რაც რუსებთან მატჩის წინ გვაფიქრებს.

**— რუსეთის ნაკრების მატჩების ვიდეოფირი თუ გაქვთ?**

— გვაქვს და მონპელიეში შეკრების დროს რამდენჯერმე ვნახეთ კიდეც. რუსებმა განსაკუთრებით ფიზიკურად მოუმატეს. ესაა მათი კოზირი. ტაქტიკურად და სათამაშო დისციპლინით კი იმავე დონეზე არიან. ყოველ შემთხვევისთვის, შესამჩნევი წინსვლა ვერ დავინახეთ. არა მგონია, რაიმე სიახლე შემოთგვთავაზონ. რუსეთის ნაკრებს კარგად ვიცნობთ და შესწავლილიც გვყავს.

**ბაჩო სვანიძე**



ილია ზედგინიძე



# კონფერენცია უპაშეკოდ და უბოუმენოდ ჩატარდება

## დასავლეთ კონფერენცია

### ცენტრალური დივიზიონი



კერტის ჯოზეფი

**დეტროიტ რედ უინგსი**

**მოვიდნენ:** მეკარე კერტის ჯოზეფი; ფორვარდები სტეისი რესტი, ჰენრიკ ზეტერბერგი; მწვრთნელი დეივ ლუისი.

**წავიდნენ:** მეკარე დომინიკ ჰაშეკი; მცველები უვე კრუპი, ფრედრიკ ოლაუსონი; მწვრთნელი სკოტი ბოუმენი.

***2001-02: 116 ქულა და პირველი ადგილი ლიგაში. თასის მფლობელი***

წინა სეზონის ტრიუმფის შემდეგ დეტროიტში ორი ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. გუნდი ბოლო წლების საუკეთესო მეკარემ, როგორც იქნა გაჩემპიონებულმა დომინიკ ჰაშეკმა დატოვა. მან ჩეხეთში დაბრუნება გადაწყვიტა. და კიდევ უფრო მთავარი: 90-იანი წლების დეტროიტის დაწინაურების სულისჩამდგმელმა, დიდმა სკოტი ბოუმენმა კარიერაში მე-9 თასის მოგების შემდეგ დასვენება ინება. ნებისმიერი სხვა გუნდისთვის ეს ალბათ დაღმასვლის დასაწყისის მანიშნებელი იქნებოდა, თუმც დეტროიტი კვლავ თასის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად რჩება. ჰაშეკი ხომ თითქმის ტოლფასმა კერტის ჯოზეფმა შეცვალა, ხოლო ბოუმენმა თავის ადგილზე ერთგული მოწაფე დეივ ლუისი დატოვა. იგი მთელი ამ წლების განმავლობაში დიდი მაესტროს გვერდით იდგა და მისი კონცეფციები და სულისკვეთება ღრუბელივით შეიწოვა.

**ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი**

**მოვიდნენ:** ფორვარდები ტეო ფლერი, სერგეი ბერეზინი; მცველები ჯეისონ სტრადვიკი, ნათან დემპსი.

**წავიდნენ:** ფორვარდები ტონი ამონტე, ტომ ფიცჯერალდი; მცველი კრის მაკელპინი

***2001-02: 96 ქულა და მე-3 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში პირველი რაუნდიდან გავარდა.***



ტეო ფლერი

ჩიკაგოს საზაფხულო ცვლილებები, ცოტა არ იყოს, ეჭვს იწვევს. ერთი შეხედვით, ახალმოსულები წასულებს თითქოს არ ჩამოუვარდებიან, მაგრამ მთავარ შენაძენ ტეო ფლერის მომავალი მაინც ბუნდოვანია. ბოლო ხანს მან ისეთი ამბებით დაგვამახსოვრა თავი, ჰოკეის რომ არამც და არამც არ უკავშირდება. ჰოდა, საკითხავია, იქნება იგი გუნდიდან წასული ტონი ამონტეს ღირსეული შემცვლელი? ამონტე ხომ „ქორების" შეუცვლელი ლიდერი იყო და ფლერისაც იგივე მისია დაეკისრება. თუმც სპეციალისტთა აზრით, ჩიკაგოს თავკაცი ბრაიან სატერი, ადრე ფლერისთან რომ მუშაობდა, ფლობს „მძლავრი თაგვის" გამოფხიზლების საიდუმლოს. გუნდის კიდევ ერთი ნაკლი ის არის, რომ არ ჰყავს საიმედო სათადარიგო მეკარე, რის გამოც ჟოსლენ ტიბოს კვლავ დიდი დატვირთვა ექნება.

**სენტ ლუის ბლუზი**

**მოვიდნენ:** ფორვარდები პეტრ ჩაიანეკი, სტივ დუბინსკი

**წავიდნენ:** ფორვარდები რეი ფერარი, სკოტ იანგი; მცველი მარკ ბერგევენი

***2001-02: 98 ქულა და მე-2 ადგილი დივიზიონში; პლეი ოფში მე-2 რაუნდში გავიდა.***

სენტ ლუისმა ვერ გაუმართლა ქომაგებს იმედი. ბოლო წლებში მისგან გაცილებით მეტს ელოდნენ. მიუხედავად შემადგენლობის გაძლიერებისა, გუნდმა მაინც ვერ მიაღწია დეტროიტის და კოლორადოს დონეს. აი, წლეულსაც უფროსობას თითი თითზე არ დაუდვია, რათა ერთადერთი სუსტი რგოლი, მეკარის პოზიცია გაეძლიერებინა. ამას ისიც ემატება, რომ კრის პრონგერი იანვრამდე ვერ იასპარეზებს, ხოლო კიდევ ერთი ლიდერის, დუგ უეიტის სეზონის დაწყებამდე სრული გამოჯანმრთელებაც საეჭვოა. ოკეანისგაღმელი მიმომხილველები ამიტომაც ფიქრობენ, რომ თითქმის ელიტარული სენტ ლუისი თასის ერთ-ერთ რიგით მაძიებლად იქცა.

**ნეშვილი პრედეტორსი**

**მოვიდნენ:** ფორვარდები ბრენტ გილკრისტი, კლარკ უილმი, დენის პედერსონი, ანდრეას იუჰანსონი; მცველი პასკალ ტრეპანიე.

**წავიდნენ:** ფორვარდები სტივ დუბინსკი, მარკ მოუერსი.

***2001-02: 69 ქულა და მე-4 ადგილი დივიზიონში. პლეი ოფში ვერ გავიდა.***

ნაბიჯი უკან, ორი ნაბიჯი წინ — აი, ეს სიტყვები შეესაბამება იმას, რასაც გუნდის ქომაგები წლეულს ნეშვილისგან ელიან. სამი წლის განმავლობაში პროგრესს წინა სეზონში უკან დახევა მოჰყვა და ახლა ყველა მნიშვნელოვან წინსვლას ელის. ყოველ შემთხვევაში, ნეშვილის ბოსები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა გუნდის მოკრძალებული ბიუჯეტი გონივრულად გამოიყენონ. ზაფხულში გუნდში რამდენიმე გამოცდილი ვეტერანი მივიდა, რომელთაც „მტაცებელთა" ახალგაზრდული ბირთვის დავაჟკაცებაში წვლილი უნდა შეიტანონ. ვინ იცის, ეგებ აპრილში ნეშვილი პლეი ოფში ვიხილოთ.

**კოლუმბუს ბლუ ჯეკეთსი**

**მოვიდნენ:** ფორვარდები ენდრიუ კესელსი, მაიკ პანდოლფო; მცველები ლუკ რიჩარდსონი, სკოტ ლაშანსი.

**წავიდნენ:** მეკარე რონ ტაგნატი; მცველი მატიას ტიმანდერი.

***2001-02: 57 ქულა და მე-5 ადგილი დივიზიონში.***

***პლეი ოფში ვერ გავიდა.***

დამდეგ სეზონში კოლუმბუსს ალბათ ერთი პოზიტიური ცვლილება მაინც ელის. წინა ჩემპიონატში გუნდმა ლიგაში ბოლო, 30-ე ადგილი დაიკავა. ასე რომ, უკან ველარ დაიხევს. აი, შეძლებს თუ არა წინ წასვლას, ეს ახალშენაძენებზე იქნება დამოკიდებული. განსაკუთრებით ბევრს პლეიმეიკერ ენდრიუ კესელსისგან ელიან, რომელიც თავის ძველ, მრავალწლიან პარტნიორ ჯეფ სენდერსონს კვლავ შეუამხანაგდება.

**სამველ ლარიბიანი**



სკოტი ბოუმენი



დეივ ლუისი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჰაკა

ლუის ვუტონის ამერიკის თასის სანაოსნო ამბავიც იწყება: ოკლენდში, გამხსნელ ცერემონიალზე, ცხადია, მაორებიც გამოჩნდნენ და, ცხადია, საბრძოლო ცეკვა, ჰაკაც შეასრულეს.

REUTERS ოკლენდიდან






REUTERS კორდობიდან

# ჟიბა

არგენტინის ქალაქ კორდობაში ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. აქაურ გოგოშკებს განსაკუთრებით შეჰყვარებიათ ტანხმელი ბრაზილიელი მობურთალი ჟიბა. „ჟიბა, გვიყვარხარო", პლაკატებიც კი გამოუტანიათ და ჟიბაც ავტოგრაფებს არ იშურებს, მით უმეტეს, ეგვიპტელებზე იოლი გამარჯვების შემდეგ.

# სეპაკ ტაკრავი და ძიუდო

სეპაკ ტაკრავი სამხრეთაღმოსავლეთ აზიელთა საყვარელი თამაშია და ფრენბურთის ფეხით გახურებას გულისხმობს. სამხრეთკორეულ პუსანში მიმდინარე აზიურ თამაშებზე უსეპაკტაკრავოდ არაფერი გამოვა. მისი აკრობატიკა კი ფოტოგრაფისთვის მისწრებაა; ტაილანდელი პონსაკ პერმსაპი ასე აგდებს პაწაწინა ბურთს კორეელთა ნახევარზე, კორეელი იო დონგ-იონგი კი უფარებს. პუსანშივე გახურებულა ძიუდო და დიდრონ, 78 კილოგრამამდე ქალ ძიუდოისტთა ფინალში მასპინძელ იო სუ პის (მაღლა) იაპონელი მიზუჰო მაცუზაკი დაუჩაგრავს.





REUTERS პუსანიდან




REUTERS ბრიუსელიდან

# ტიბეტი, თქვენი...

მაინც კომუნისტური ჩინეთის მთავრობა დიახაც, ხარობს, რომ 2008 წლის ოლიმპიადას პეკინი უმასპინძლებს, მაგრამ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტები მაინც აშხამებენ ამ სიხარულს. უუფლებო ტიბეტი და სისხლიანი ოლიმპიური სიმბოლოები, აი, რას ნიშნავს ბრიუსელელი მომიტინგეებისთვის პეკინის მასპინძლობა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge